№ 2.

# ივერია

წელიწადი პირველი

10 მარტს 1877 წ.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წლს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

5971

საძიებელი: I. „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ გამო.—II. საქართველოს მატიანე: პირდაპირი სახელმწიფო ხარჯი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების გლეხ-კაცობისა. სხვა და სხვა ამბავი.—III. უცხოეთი: სლავიანების მოძრაობა, მისი დასაბამი და აწმყო სერბიის დამარცხებამდე.—IV. ცხოვრება და კანონი, წერილი მეორე.—V. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის: სერბია, რუმინია, ჩერნოგორია და ავსტრი-უნგრიის იმპერია.—VI. ქალაქის სცენები ერთის დღის აღწერისაა: სცენა 2.

## „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ გამო.

ამ ცოტას ხანში უმთავრესნი მომქმედნი პირნი „კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისა“ გადადგნენ. ძველის პრეზიდენტის ნაცვლად საზოგადოებამ ამოირჩივა ახალი, თ. დიმიტრი ჯორჯაძე, და სეკრეტრად უფ. ხატისოვი. იმედია რომ ამ ორთა თაოსნობით ჩვენი აქამდის მკვდარი „საზოგადოება“ გამოცოცხლდება და რაიმე სარგებლობას შესძენს ჩვენს ქვეყანას. იმედია რომ ამ ორში არც ერთი არ გაექცევა ჯეროვანს შრომასა. ეს იმედი უქმის ჭკუის მონაგონი არ არის და საბუთიანია. ახალი სეკრეტარი, თითქმის თანამდებობის მიღებისვე უმალ, შეუდგა იმის მეცადინეობას, რომ მაგ „საზოგადოებას“ ცოცხალი სული ჩაუდგას და მოაშოროს ის მიზეზნი, რომელნიც მას გზას უხლართავდნენ. 11 იანვარს მან წარუდგინა ხსენებულის საზოგადოების მწევართა კრებას წერილი მაზედ თუ რა ცვლილებაა საჭირო და რაზედ უნდა იყოს მიქცეული „საზოგადოების“ ყურადღება საკუთრად, რომ „საზოგადოებამ“ გაძლიერებული სამსახური გაუწიოს კავკასიას საერთოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ. სიხარულით მოვისმინეთ იგი წერილი. მან გაგვიღვიძა ჩვენ ზოგიერთი აზრი, რომლის წარმოთქმისათვისაც ჩვენ დღეს დრო ჩავიგდეთ.

სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით, იმიტომ-რომ ჩვენში სხვა თვალ საჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამყარებული. ჩვენ ვიმეორებთ რომ ეს ყველგან ესეა და ნამეტნავად ჩვენში, მეთქი. ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და სორციელი კეთილ-დღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თვისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდს ფულსაც ხარჯავენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს.

ჩვენ მოკლედ მოვიხსენიებთ რა წყობილება აქვთ მიღებული ევროპაში ზოგიერთს სახელმწიფოს სასოფლო სამეურნეო წარმატებისათვის.

რომ მართლა მთავრობის ყურადღება და ზრუნვა ფუჭს გულის-ტკივილად არ იქცეს, მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის

ხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღე მუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით— მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, სადაც კერძოპირთა შეძლება ვერ გასწვდება. ზოგიერთს სახელმწიფოში ესე იყო, რომ ორივე ეგ გზა მთავრობას განსაკუთრებით ხელთ ეპყრა და სასოფლო მეურნეობის საქმეთა მარტო თვით განაგებდა, თვით თავისის მოთანამდე პირთაგან ჰსცნობდა საჭიროებას ხალხისას და თვით მოთანამდე პირთაგან მოპოებულს წამალს ადებდა. თითქმის ესე იყო საფრანგეთში, სადაც სასოფლო სამეურნეო საქმეთა განაგებდა ცალკე „სამინისტრო მიწათ-მოქმედობისა, ვაჭრობისა და საყოველთაო სამუშაოსი." ამ წყობილებას ემდუროდნენ ფრანცუზნი. ამბობდნენ, ეგ სამინისტრო მარტო მიწერ-მოწერაში ვარჯიშობსო და დროსა ჰკარგავსო, საქმე კი იმოდენად არა კეთდება, რამოდენადაც სასურველიაო. ამას გარდა მთავრობის მოთანამდე პირიო, რაც უნდა გულ-შემატკივარი იყოსო, ნამდვილს ადგილობრივს საჭიროებას ვერ შეიტყობსო, ჯეროვანად ვერ ასწონსო და დააფასებსო. ხალხს რაც უჭირს, თვითონ ხალხმა უკეთ იცისო, ამიტომაც მთავრობა უნდა ცდილობდეს, რომ თვით მიწათ-მოქმედთა იყოლიონ თვისის საჭიროების წარმომადგენელი კრებაო. უტყუარს, ნამდვილს და აუცილებელს საჭიროებას მარტო ეგ ადგილობრივნი წარმომადგენელნი იტყვიანო. ერთი მწერალი ლავერნი ამბობს, რომ სამინისტრომ მოსპო და გააუქმა საფრანგეთში ადგილობრივი სოფლის მეურნეობის საბჭონი, რომელნიც ბევრად თუ ნაკლებ ატყობინებდნენ მთავრობასა ნამდვილს საჭიროებას საფრანგეთის სხვა და სხვა მაზრიდამ,—და ამ სახით თვითონ ხალხს შეუვიწროვა თვით-მოქმედობის ასპარეზი და ყველაფერი თვითონ სამინისტრომ ხელთ იგდოო. ამგვარივე წყობილება არის ბელგიაში. მაგრამ რადგანაც ბელგია პატარა ქვეყანაა (სულ 536 ოთხ-კუთ. მილია), კარგი გზები აქვს, სწრაფი და დაუყოვნებელი ფოშტა და თვით მოთანამდე პირთა ჩვეულებათ არა აქვთ ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერა, ყოველს თხოვნაზედ მალე იციან პასუხის მიცემა, ამიტომაც ფრანცუზთა სამდურავის მგზავსს რასმეს აქ, ბელგიაში, ადგილი არა აქვს. თუნდ ეგეც არ იყოს, ბელგიაში მთავრობამ ადგილობრივთ მიწათ-მოქმედთა საზოგადოებას მიანდო სოფლის მეურნეობის საქმეთა მართვა და გამგეობა, ასე რომ ადგილობრივის საჭიროების გამომთქმელ ორგანოთ თვით ადგილობრივი საზოგადოება გახდა. თვითონ მთავრობამ დაიმთინა მხოლოდ უმაღლესი ზედა-მხედველობა. ეგ ზედა-მხედველობა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა დრო გამოშვებით შეჰყრის ერთად სოფლის მეურნეობის წარმომადგენელთა პირთა, რომელთაც მეურნეობი ირჩევენ, შეადგენს ამათგან საბჭოს, რომელსაც მოჰსთხოვს ხოლმე ანგარიშს მასზედ თუ სად და როგორ მიდის სოფლის მეურნეობის საქმე, გამოჰკითხავს ადგილობრივთა მიწათ-მოქმედთა საჭიროებას და მათის რჩევით და თვის შეძლებისა კვალად ნიშნავს კარგა ფულს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის. ამბობენ, განსაკუთრებით ეს არის მიზეზიო, რომ ბელგიის სოფლის მეურნეობა ბევრად მაღლა დგას საფრანგეთის მეურნეობაზედა. პრუსია უფრო წინ წავიდა ზოგიერთის უფლების დათმობის გზაზედ. აქ მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ სოფლის მეურნეობის წარმატებას ყოველივე დაბრკოლება მოაცილოს და სადაც საჭიროება მოითხოვს ფულით, ცოდნით, რჩევით და, ხშირად, მაგალითითაც შეეწიოს მიწათ-მოქმედთა. სხვა ყოველისფერი თვითონ ხალხზედ არის მიჩემებული; მთავრობა მხოლოდ იქა შველის ხალხსა, სადაც კერძო პირთა უღონობა ვერ მიჰსწვდება. ამის გამო გერმანიაში ჯერ კიდევ 1837 წ. ჩვეულებათ არის. რომ მიწათ-მოქმედნი, დიდი თუ პატარა, ყოველ წლივ ხან აქ, ხან იქ მოიყრის ხოლმე თავსა ურთიერთის საჭიროების საცნობლად და გამოსათქმელად. ამას გარდა გერმანიაში მიწათ-მოქმედთა საჭიროების გამომთქმელად და წარმომადგენლად 1541 სასოფლო მეურნეობის საზოგადოებაა, რომელთაც 120,000 მწევრნი ჰყვანან. სასოფლო მეურნეობის საქმეს პრუსიაში განაგებს ცალკე სამინისტრო, რომელიც იმითია შესანიშნავი, რომ ძალიან ცოტა მოთანამდე პირნი ჰყავს, ტყუილ უბრალო მიწერ-მოწერა არ იციან და თვით საქმის წარმოების წესი ისე მარტივია, რომ ყოველივე საქმე ადვილად და ხან დაუყოვნებლივ კეთდება. ამგვარის მოწყობილობისა გამო გერმანიის სასოფლო მეურნეობა დღე და დღე ჰყვავის და წარმატებაშია.

სოფლის მეურნეობის მოწარმოეთა ამაზედ უფრო ბევრი უფლება აქვსთ ჰოლანდიაში და ნამეტნავად ინგლისში თავისის საჭიროების ვრცლად გამოთქმისათვის და მთავრობის წინაშე შუამდგომლობისათვის. ამ ქვეყ-

ნებში მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ სადაც სოფლის მეურნეობას უჭირს, იქ მიეშველოს დაუყოვნებლივ. ამაში არასოდეს არა ზოგავს და არა ხარჯს არ ერიდება. რობერტ პილის წარდგენით 1846 წელსა ინგლისის მთავრობამ გადასდვა სოფლის მეურნეობის მოწარმოეთა ხელის გასამართავად 18,750,000 მანეთი. 1846 წლიდამ 1850 წლამდე ინგლისის მთავრობამ სოფლის მეურნეობის მოწარმოეთ ორმოცდათოთხმეტ მილიონზედ მეტი მანეთი მიაშველა სესხობით. ჰოლანდიაში, თუმცა პატარა ქვეყანაა, მაგრამ აქაც მთავრობა მილიონებით შველის სოფლის მეურნეობასა. მაგალითად ჰარლემის ტბის დასაშრობლად 4,200,000 მანეთი მთავრობამ დახარჯა და ეხლა ეგ ტბის ალაგი მთელის ჰოლანდიის ბოლაზია. ზუიდერზის ტბის დაშრობისათვის 30 მილიონია გამოყვანილი. სადაც სოფლის მეურნეობას თვისის საჭიროების გამოსათქმელად თვისი საკუთარი საზოგადოება ჰყავს, სადაც ამ საზოგადოებას დაუბრკოლებელი შუამდგომელობა აქვს მთავრობის წინაშე და სადაც მთავრობა მარტო იმის ცდაშია, რომ ყველგან საზოგადოების ჩვენებით და დანიშვნით თავისი შემწეობის ხელი მიაწვდინოს, ერთის სიტყვით — სადაც მთავრობას სოფლის მეურნეობის საჭიროების გამომთქმელ ორგანოთ თვით საზოგადოება ჰყავს და ამ საჭიროების პასუხის საგებად და დასაკმაყოფილებლად მარტივი მთავრობითი წყობილება, იქ სოფლის მეურნეობა დღე და დღე წინ მიდის ხალხისა და მთავრობის საკეთილოდ.

აქედამ ჰსჩანს რა ნერგზედაც შეუძლიან აჰყვავება ჩვენს კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებას. იგი უნდა იყოს ჭეშმარიტი წარმომადგენელი ადგილობრივთა მიწათ-მოქმედთა და სასოფლო მეურნეობის მოწარმოეთა, რომ ამ გზით მთავრობას საშუალება ჰქონდეს ჰსცნოს ნამდვილი, უტყუარი და აუცილებელი საჭიროება ჩვენის მეურნეობისა. მეორის მხრით — იგი უნდა იყოს შუამდგომელი მთავრობის წინაშე, რომ სადაც საჭიროა, მთავრობის მუდამი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიჰმართოს. მხოლოდ მაშინ ეს საზოგადოება გაუწევს ჯეროვანს სამსახურს თვით მთავრობასა და, მთავრობის შემწეობით, ქვეყანასაცა. თუ ეს ასე არ იქმნა ეს „საზოგადოება“ ისევ-ისე მკვდარი იქნება, როგორც აქამომდე იყო. ტყუილი გამართლებაა, რომ ჩვენებური სასოფლო მეურნეობის მოწარმოენი მონაწილეობას არ იღებენ „საზოგადოებაშიო“ და ამიტომ „საზოგადოებას“ ის ვერ შეუძლიან ჰქმნას, რის ვალდებულიც არისო. რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ რომ იმის სატკივარს საიდამ ეშველება და გვერწმუნეთ, რომ დიდი და პატარა კარზედ მოგაწყდებათ.

---

## საქართველოს მატიანე

—

**პირდაპირი სახელმწიფო ხარჯი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების გლეხ-კაცობისა** *). — ტფილისისა და ქუთაისის გლეხ-კაცობას მარტო ერთ-გვარი პირდაპირი სახელმწიფო ხარჯი ადევს. ამ ხარჯს ჩვენში დღეის აქამომდე ფოშტის ფულს უწოდებენ, რადგანაც პირველი ხარჯი, ეხლანდელის მთავრობის დამკვიდრების შემდეგ, ამ სახელით გაეწერა ჩვენს ქვეყანასა. ეს ფოშტის ფული, თუ ხარჯი კომლზედ არის გაწერილი, რადგანაც დამყარებულია მარტო კომლთა რიცხვზედ და სხვა არარაზედ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სხვა-და-სხვა ზომით ერთმევა კომლსა ეს გადასახადი. ამ სხვა და სხვაობის საფუძვლად მიღებულია, პირველი, წოდება გლეხთა, მეორე, — ბინადრობის ადგილი. წოდების კვალობაზედ, დროებით-ვალდებული გლეხი ყველგან ნაკლებ იხდის ამ ხარჯს, ვიდრე სახასო; ბინადრობის ადგილის კვალობაზედ — ქუთაისის გუბერნია უფრო ნაკლებ იხდის, ვიდრე ტფილისისა და თვით ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში ხარჯი ნაკლებია და ზოგიერთში მეტია. ტფილისის გუბერნიაში ვალდებულის გლეხის გადასახადი არ აღემატება სამს მანეთს და ერთს აბაზს კომლზედ, სახასო გლეხისა — ცხრა მანეთს და ერთს აბაზსა; ქუთაისის გუბერნიაში კი დროებით ვალდებულის გლეხის ხარჯი ერთს მანეთზედ არც მეტია, არც ნაკლებ, სახასო გლეხისა, — არ აღემატება ექვს მანეთსა.

აი რიცხვნი მოხარკეთა კომლთა და მათის გარდასახადისა.

I. ტფილისის გუბერნია.

1) სახასო გლეხნი, სოფლად მცხოვრებნი.

ა) ტფილისის მაზრისა — 14,606 კომლი, იხდის 63,291 მან. ხარჯს.
ბ) გორისა — — — 8,205 — „ — 28,696.
გ) სიღნაღისა — — 9,587 — „ — $28,606\frac{1}{2}$
დ) თელავისა — — — 5,254 — „ — 20,088
ე) თიანეთისა — — — 5,467 — „ — $16,244\frac{1}{2}$

*) ინახულე: Вѣдомость о подымной подати поселянъ на 1877 годъ.

ვ) ახალციხის — — 3,912 — „ — 15,443.
ზ) დუშეთის—— — 2,843 — „ — 8,577 $^{3}/_{4}$.
თ) ახალ-ქალაქის— — 5,056 — „ — 23,582.

სულ 54,930— „ — 224,508$^{3}/_{4}$ მ.

2) სახასო გლეხნი, ქალაქებში მცხოვრებნი.

ა) ტფილისი — — 11,724 — 42,543 მან. 80 კაპ.
ბ) გორი — — — 1124 — 3372 —
გ) სიღნაღი—— — 2017— 6051 —
დ) თელავი— — — 1445 — 4335 —
ე) დუშეთი— — — — 449 — 1347 —
ვ) ახალ-ციხე — — — 2420 — 8,190.—

სულ 19,660 კომლი იხდის 67,299 მ. 80 კ.

ამათ შორის: ქალაქს ტფილისში 1189 კომლი იხდის ცხრა მანეთს და ერთს აბაზსა, ახალციხეში 310 კომლი იხდის ექვს-ექვს მანეთსა, დანარჩენნი კი ყველგან სამ-სამს მანეთს იხდიან.

3) დროებით ვალდებულნი გლეხნი.

ა) ტფილისის მაზრისა—3228 — 4198
ბ) გორისა — — — 5792 — 8212
გ) სიღნაღისა— — — 2669 — 2758
დ) თელავისა — — — 2273 — 2668$^{1}/_{2}$.
ე) დუშეთისა — — — 2996 — 2833
ვ) თიანეთისა— — — 402 — 591$^{1}/_{4}$.

სულ 17,360 კომლი იხდის 21,260$^{3}/_{4}$ მ.

ამათ შორის, სამის მანეთის და ერთის აბაზის გამომღები არის შვიდი კომლი, ორის მანეთისა—800, მანეთ ნახევრისა—6496, ერთის მანეთისა 9731 და ათის შაურისა—326 კომლი.

II. ქუთაისის გუბერნია

1) სახასო გლეხნი სოფლად მცხოვრებნი.

ა) ქუთაისის მაზრისა—11,587 კომლი 37,679 მან. ხარჯი
ბ) ოზურგეთისა——— 4290 — 11,695 მან. 53$^{1}/_{4}$ კ.
გ) შორაპნისა — — — 6207 — 18,569 —
დ) რაჭისა— — — — 2722 — 9,670 —
ე) ზუგდიდისა — — — 3571 — 3589 —
ვ) სენაკისა — — — — 4387 — 4387 —
ზ) ლეჩხუმისა — — — 1733 — 2113 —

სულ 34,497 — 87,702 მან. 53$^{1}/_{4}$ კ.

2) სახასო გლეხნი ქალაქებში მცხოვრებნი.

ა) ქუთაისი — — — 1496 კომლი 5871 მან. ხარჯი.
ბ) ოზურგეთი— — — 137 — 411 —
გ) ფოთი — — — — 4 — 12 —
დ) ზუგდიდი — — — 72 — 216 —
ე) ყულევი (რედუტ-კალე)—123 — 369 —

სულ 1832 კომლი იხდის 6879 მან. ხარჯს.

ამათ შორის ქალაქს ქუთაისში იხდის ექვს-ექვს მანეთს 461 კომლი, სხვანი კი ყველგან იხდიან კომლზედ სამს მანეთს.

3) დროებით ვალდებულნი გლეხნი.

ა) ქუთაისის მაზრის—6796 კომლია, 6796 მან. ხარჯია.
ბ) ოზურგეთისა — — 3637 — 3637 —
გ) შორაპნის— — — 8060 — 8060 —
დ) რაჭისა — — — 3024 — 3024 —
ე) ზუგდიდისა — — 9772 — 9772 —
ვ) სენაკისა — — — 9045 — 9045 —
ზ) ლეჩხუმისა — — 2630 — 2630 —

სულ 42,964 — 42,964.

მაშასადამე ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში სულ ზემოხსენებულის ხარჯის გადამხდელი გლეხ-კაცობა ყოფილა 171,241 კომლი, რომელნიც ყოველ წლივ იხდიან სახელმწიფო ხარჯს 450614 მანეთსა და 83$^{1}/_{4}$ კაპეიკსა.

---

შარშან შემოდგომიდგან „ტფილისის უწყებებში“ დაიწყეს გამოთქმა პედაგოგიურის აზრებისა, რომელნიც ჯერ მოკლე შენიშვნებით იყვნენ გამოხატულნი და შემდეგომ განვითარებულნი და გავრცელებულნი კარგა ფართო წერილებითაცა. დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენმა საზოგადოებამ მაგ შენიშვნებს და წერილებსა. ნამეტნავად წერილებმა ძლიერ ჩააფიქრა ჩვენი საზოგადოება, ისე რომ, მაგ წერილების მეოხებითა, ხალხის განათლების საქმე, ერთობ კვლავ უინტერესო საგანი, სასაუბრო და საბაასო საგნად შეიქმნა. ამ მხრით ყველას გადაამეტა იმ წინამძღომელმა წერილმა, რომელიც უსახელოდ და უსათაუროდ დაბეჭდილი იყო „ტფილისის უწყებების“ 31,32 და 33 №№-შია. ამ წერილმა დიდსეული, არა ჩვეულებრივი თანაგრძნობა აღძრა ჩვენს საზოგადოებაში და მიიქცია თვით მმართველთა პირების განსაკუთრებული ყურადღება. დედა აზრი ამ წერილისა იყო შემდეგი: ხალხის განათლების წყობილება, რომელიც უარ ჰყოფს დედა-ენის შუამდგომელობას პირველ-დაწყებითის სწავლის გარდასაცემად, გახსნის მაგიერ გონებას უხშობს ახალს თაობას, გონებითად და ზნეობითად ჰსჩაგრავს და ყოველ მხრივ ამდაბლებს; ხალხის კეთილ-დღეობას არამც თუ არ ემსახურება, არამედ პირიქით სიღარიბეს უმატებს; ერთის სიტყვით, მოაქვს ნაყოფი, რომელიც პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ხალხის განათლების დანიშნულებას. ეს ჰაზრი დამტკიცებულია სხვათა შორის იმ მაგალითზედ, რომელიც კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა სასწავლებელნი წარმოგვიდგენენ. სასწავლებლები მშვენივრად იყვნენ მოწყობილნი

და გამართულნი, მაგრამ ნაყოფი კი ხეირიანი ვერ გამოიღეს და საზოგადოების მოლოდინი სრულიად გააცრუეს მარტო იმ მიზეზის გამო, რომ მათში დედა ენას ჯეროვანი ადგილი არ ეჭირა. ამ წერილსა, რომლის წაკითხვას ვურჩევთ ყველას, ვინც კი გულ-გრილად არ უყურებს ხალხის განათლების საქმეს, ბევრი კეთილი ნაყოფი მოჰყვება, ამბობენ. ამის გამო იმედია, რომ ჩვენის განათლების საქმე წესიერად წარიმართება და, თუ ეს, ჩვენდა სანუგეშოდ, მართლა მოხდა, ზემოხსენებულს წერილს ამ სიკეთეში შესანიშნავი მონაწილეობა ექნება.

—

თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებობს ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი აგერ თითქმის ოთხი წელიწადია. მთავრობისაგან დამტკიცებული წესდებულებით ყველა საქალაქო სასწავლებელში დადებულია ადგილობრივის ენის სწავლება. ამ მოხსენებულ სასწავლებელში კი გასულს ორშაბათამდის ქართულის ენის ხსენებაც არსად იყო და უმაწვილები სრულიად მოკლებულნი იყვნენ დედა-ენის შესწავლის ღონისძიებასა. მხოლოდ ამ მოხსენებულ დღეს დრო დანიშნეს ქართულის ენის სასწავლებლად, დანიშნეს მასწავლებელიცა და უმაწვილებს მოაწოდებინეს სახელმძღვანელოები. ჩვენ გვითხრეს, რომ ბავშვები დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგებნენ ქართულის ენის შემოღებასა. ეს, რასაკვირველია, ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ საქმე მარტო შემოღება როდია. მასთან საჭიროა ენის სწავლებას ჯეროვანი და სვინიდისიანი მეცადინეობა წინ უძღოდეს. სასიამოვნო და სანუგეშოა ეს ცვლილება, მაგრამ მარტოკა ამითი საქმე ვერ წარიმართება, ამიტომ რომ მეორე უკუღმართი მოკლენაც არსებობს ამ სამოქალაქო სასწავლებელში. ორ მის მასწავლებელთაგან არც ერთმა არ იცის ქართული ენა და ქართველ ბავშვებს სწავლას აწყობინებენ სრულიად უცნობ ენაზედ. ამ გვარი სწავლა მამაკვდავი ცოდვაა, რადგანაც ბავშვს უკეთეს ადამიანის საუნჯეს-გონებას უხშობს და უბნელებს. ამ სასწავლებლის მთავრობამ ორში ერთი უნდა მოახდინოს: ან არ მიიღოს სრულიად ქართველი ბავშვები და, თუ მიღება მათი მიუცილებელ საჭიროდ მიაჩნია, ერთი მასწავლებელი მაინც იყოლიოს ქართული ენის მცოდნე და იგი ვალდებული გახადოს, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ქართველის ბავშვებისათვის დედა ენაზედ გამართოს.

—

თებერვლის ცირკულიარი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველობისა გვაცნობებს, რომ სამზრუნველო საბჭოს (Попечительскій совѣтъ) მოსწონებია და სახალხო სასწავლებელში სახმარებლად დაუნიშნავს საყმაწვილო წიგნი „დედა ენა", შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. ეს გადაწყვეტილობა, რომელიც ამ სასარგებლო წიგნს ფართო გზას უხსნის სახალხო სასწავლებელში შესასვლელად, მით უმეტეს სასიხარულოა, რომ ამტკიცებს იმ ვაჟბატონების გავლენის შესუსტებასა სამზრუნველო საბჭოში, რომლებიც ადგილობრივის ენების სწავლებას საზოგადოდ ხელს უცრიდნენ და რომელნიც ცდილობდნენ, რომ ამ ჩინებულის წიგნისათვისაც გზა გადეღობათ.

—

გორში დაარსდა და გაიხსნა წარსულ სეკტემბერს ახალი სასწავლებელი, რომელსაც ჰქვიან საოსტატო სემინარია და რომელმაც უნდა მოამზადოს სასოფლო სასწავლებელთათვის მასწავლებლები. ყველასათვის ცხადია, რომ ისე არავისათვის არის საჭირო ზედ მიწევნითი ცოდნა ქართულის ენისა, როგორც სასოფლო მასწავლებლისათვის. ამიტომ სრული მოსალოდნელი იყო, რომ ამ სემინარიაში ქართულის ენის სწავლას მიეცემოდა ფართო და ჯეროვანი ადგილი და მსვლელობა. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა შევიტყეთ, რომ ამ სასწავლებელში ქართულ ენას ადგილი სრულიადაც არა ჰქონია და ერთი საათიც არა ყოფილა წელიწადში დანიშნული ქართულის ენის სასწავლებლად. მაგრამ უკუღმართობა თურმე ამითი არა თავდება: თვით პირველ-დაწყებითს ქართულს სასწავლებელში, რომელიც ამ სემინარიასთან არსებობს და რომელიც უნდა იყოს სამაგალითო სხვა სასოფლო სასწავლებელთათვის, ისე უხეიროდ, უგულოდ და უგემურად მიჰყავთ ქართულის ენის სწავლის საქმე, რომ მას სრული უსწავლელობა სჯობია. ცხადია, რომ ამ უკუღმართობას საზოგადო სენის ნიშანი ატყვია და საჭიროა, რომ რაიმე მტკიცე განკარგულებამ ბოლო მოუღოს.

—

გარეთვე შევიტყეთ, რომ ამ სასწავლებლების ახლად-დანიშნულს ინსპექტორს შემოდგომაზედ და ზამთრის დამდეგს დაუვლია თავისი სახელქვეითო სასწავლებელნი ახალციხისა და თიანეთის მაზრაში დაარსებულნი, და თავისი მხურვალე გულის-ტკივილი და ერთგულობა მითი გამოუჩენია, რომ დაუშლია ქართულის ენის ის უხეირო სწავლებაც, როგორიც აქამდის ვა[illegible]ჩრობით მაინც იყო და ქართულის სასწავლებლის წიგნების ქონვა მოუსპია. მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში რაღასაც და ვიღასაც ჭკუაზედ მოუყვანია, ისევ გაუხსნია გზა ქართულის ენისათვის და სასწავლებლებში გაუგზავნია საჭირო სახელმძღვანელო ქართული

წიგნები. შესაძლებელია არ ვისურვოთ, რომ ქართულის ენის ბედი და უბედობა ამ მოხსენებულ სასწავლებლებში არ იყოს დამოკიდებული რომელიმე ზედამხედველის ქეიფზედ და სულს-წამის მომართულებაზედ.

—

ამას წინაზედ ერთ ქართველს თავადი-შვილს გამოუგზავნია თხოვნა რეალურის სასწავლებლის დირექტორისათვის, რომ ჩემს შვილს ქართულს ენას ნუ ასწავლიათო. ამ გვარი უკუღმართი ზრუნვა მამისა შვილზედ მხოლოდ ჩვენშია შესაძლებელი. ვერ მოსძებნით იმისთანა ქვეყანას, სადაც დედა-ენის სწავლა მიუცილებელ საჭიროებად არ მიაჩნდეთ და სადაც არ რიცხდნენ მახინჯათა და გამოუსადეგრად ყველა ყმაწვილსა, რომელიც ამ ცოდნას მოკლებულია. ვერ მოსძებნით ევროპიელ ქვეყნებში იმისთანა სახლობას, რომელიც დედა-ენის სწავლებას თავისი შვილებისათვის არა სთვლიდეს საძირკვლად, რომელზედაც უნდა აშენდეს მათი გასხნა და განათლება. ჩვენში კი ამისი წინააღმდეგი მაგალითები ერთი და ორი არ არის. მეტად ცუდი ნიშანია ამ გვარი ულმობელი უარ-ყოფა დედა-ენისა. იგი ცხადად ამტკიცებს, რომ შვილების აღზრდის შესახებ სულ უბრალო, მართლად მარტივი ჭეშმარიტებაც ვერ მიგვითვისებია და წინდაუხედავად უარს-ვყოფთ უძვირფასეს საუნჯეს, რომელიც ჩვენთვის დაუტევებია რამდენიმე ათასის წლის ისტორიულ ცხოვრებას მთელის ჩვენის ხალხისასა. ჩვენ აქამდის ვერ მიმხვდარვართ, რომ ჩვენი შვილი, რომელსაც მოვაკლებთ ჩვენისავე უგუნურებით ამ ძვირფასს საუნჯეს, ბოლოს იცნობს თავის თავს მახინჯათა, გამოსადეგარ პირათ, და არა მგონია კარგად მოიხსენიოს ამისთანა მშობლის უკუღმართი და შემცოდებელი მზრუნველობა.

---

## უ ც ხ ო ე თ ი

**სლავიანების მოძრაობა, მისი დასაბამი და აწმყო სერბიის დამარცხებამდე.**—საკვირველი რამ არის ეს კაცობრიობის ისტორიის საქმე. ცხოვრება ჩვეულებრივად წყნარი და მშვიდია. იგი ისე ნელ-ნელად, ისე ტაატობით მიმდინარეობს რომ, თუ უკან არ მიიხედა და შორს მანძილს არ გასწვდინა თვალი, ადამიანი ვერც კი შეამჩნევს წინ წაიწია ცხოვრებამ თუ არც წინ მიდის და არც უკან და ერთს ადგილს გაჩერებულია. ხოლო ზოგჯერ ჩამოვარდება უცებ ნაპერწკალი, გაჩნდება ცეცხლი და მოედება ამ დამშვიდებულ ცხოვრებასა. ასტუდება ცხოვრების სხვა და სხვა კავშირთა შორის ბრძოლა, ასტუდება ერთი საშინელი არეულობა და თან მოჰყვება სისხლის ღვრა, ცრემლთა ფრქვევა, გლოვა, კვნესა და ვაი ვაგლახი. შესწყდება კიდევ ეს არეულობა თუ არა დაღალულ-დაქანცული ადამიანი შეძვრება ისევ თავის ქოხში და მიეცემა ცხოვრების ჩვეულებრივს წყნარს და მდოვრს დინებას.

რისთვის იღვრება ამდენი ცრემლი და სისხლი? რისთვის იმღვრევს და იშფოთებს ცხოვრებას ადამიანი? რაც არის, მის ბადლად რას მოელის ადამიანი თავის სანუგეშოდ და მომავალი მას რას უქადის? ისტორია გვიმტკიცებს რომ არც ერთი იოტი წარმატებისა, არც ერთი იოტი ცხოვრების კეთილ-დღეობისა ადამიანს უბრძოლველად და უტანჯველად არ დაუპყრია. ადამიანის წარმატებას ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ, ბევრი ბოროტება უხლართავს გზას. ადამიანი, ძალა-უნებურად ებრძვის ამ დაბრკოლებებს და ამასობაში მას ბევრი დრო და ღონე ეკარგება, სასოება ელევა. ეს გარემოება რასაკვირველია, სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა ჯერ-ჯერობით ასეა. ის კი უნდა შევნიშნოთ, ჩვენდა სამედოთ, რომ თან და თან, რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობის განათლება და განვითარება, იმდენად ეს დაბრკოლება და ბოროტება ნაკლებობს და ილევა, ადამიანის მიდრეკილებას საგნათაც ისა აქვს, რომ შეამციროს ეს დაბრკოლება და გაიადვილოს ბრძოლა და შრომა თავის ბედნიერების დადგენისათვის. ამ ფიქრებს უღვიძებს ადამიანს უნებურად ეხლანდელი სლავიანთა მოძრაობა, ოსმალოთა და მათ შორის ბრძოლა.

ჩვენის გაზეთის პირველ ნომერში მოხსენებული იყო, თუ რა მდგომარეობაში არიან ჰერცოგოვინის სლავიანები ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ. ამ მდგომარეობით შეწუხებულნი, ჰერცოგოვინელნი მოთმინებიდგან გამოვიდნენ, წაავლეს ხელი თოფ-იარაღს და წინა აღუდგნენ ოსმალეთის მოხელეებს, როდესაც ესენი ჩვეულებრივ მიადგნენ კარს ხარჯის ასაკრეფად, 1875 წ.

ჯერ-ჯერობით, ევროპის საზოგადოება შესაბამს ყურადღებას არ ათხოვებდა ამ არეულობას, რადგანაც ფიქრობდა რომ ეგ არეულობა ოსმალეთის შინაური საქმეაო, მაგრამ ეს არეულობა თან და თან ვრცელდებოდა, ოსმალეთს თან და თან უჭირდებოდა ჰერცოგოვინელთა დამორჩილება. რამდენიმე კვირის განმავლობაში მოძრაობა გადაედვა თითქმის მთელს ჰერცოგოვინას, შემდეგ ბოსნიას და სხვა ოსმალეთის ნაწილებს. თუმცა ოსმალეთის ჯარის რიცხვი უფრო მომეტებული იყო, ვიდრე გადამდგართა რიცხვი, მაგრამ მაინც ესენი თითქმის ყველგან ჰსძლევდნენ ოსმალებს. ამისგამო შეკრთა ევროპა, მეტადრე დიპლომატია, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობდა როგორმე საჩქაროდ მოესპო ეს არეულობა და შეეჩერებინა აჯანყება.

შემოდგომას (1875წ.) ოსმალეთმა გამოიყვანა 30,000 ჯარის კაცი გადამდგართა დასამორჩილებლად, მაგრამ ვერა გააწყო რა: სლავიანებმა, რომელთა რიცხვი ამის მესამედიც არ იყო, თითქმის ყველგან გაიმარჯვეს.

უპირატესთა სახელმწიფოთა ელჩებმა იკისრეს შუა-მდგომლობა სლავიანთა და ოსმალეთის შორის ე. ი. აჯანყე-ბულ სლავიანებს მიუგზავნეს მოციქულად თავისი კონსულე-ბი. ამათ უნდა ჩაეგონებინათ სლავიანებისათვის, რომ ტყუ-ილად ელიან ევროპის შემწეობას, სჯობს დამშვიდნენ და მარ-თებულად წარუდგინონ მთავრობას თავიანთი ჩივილი და თხოვნა. ბევრი მეცადინეობა და ბეჯითობა გასწიეს მოციქუ-ლებმა ბევრი სიტყვა და დრო დაკარგეს, მაგრამ სლავიანები ვერ დაიყოლიეს, ვერ შესწყვიტეს მათი აღელვებული მოძ-რაობა. გადამდგარნი დიდის ყურადღებით ისმენდნენ მათ რჩევას და ჩაგონებას; დიდი მადლობა მიუგეს მათის თანაგრძნობისათვის, კეთილ-სურვილისათვის, მაგრამ თოფ-იარაღი კი ხელიდგან არ გაუშვეს.

ამასობაში ოსმალეთს კიდევ ერთი უბედურება და-ემართა: ოსმალეთმა თავისის აუარებელის ვალის სარგებ-ლის გადახდა ვეღარ შესძლო და ეს ამბავი საქვეყნოდ თვითვე აღიარა. ლონდონის, პარიჟის და ვენის ბირჟა-ზე ოსმალეთის თამასუქების ფასმა ძალიან იკლო, რადგა-ნაც ოსმალეთს ევროპის ვალი მართებს და სარგებლის ძლევის შეწყვეტა გაკოტრებას მოასწავებდა. ამის გამო უფ-რო შეკრთა ევროპა. მაშინ დაიწყო ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში ოსმალეთის ვითარების ჩხრეკა, მისი სამწუ-ხარო მდგომარეობის აწონ-დაწონვა. მართლა მაშინ დაი-ნახეს, რომ ოსმალეთი იმავე მდგომარეობაშია ჩავარდნი-ლი, რომელშიაც ყირიმის ომიანობის წინედ იმყოფებო-და; დაინახეს, რომ არც ერთი წინად დაპირებული და გამოცხადებული წესი და წყობილება აღსრულებაში არ იყო მოყვანილი,—და ეხლა ყურადღება მიაქციეს. თუმცა ყოველს ამას უწინაც კარგად ხედავდენ, მაგრამ ყურს არ ათხოვებდნენ. თქვენ კარგად იცით მკითხველო, რომ სა-ზოგადოების უმეტესი ნაწილი ისე გულ-ჩჩვილი არ არის, რომ სხვაზე ბევრი რამ იზრუნოს და სხვისთვის თავი იტკიონოს. ვიდრე კაცი თავისთავზე თვითონ არ იზრუ-ნავს, თვითონ არ ამოიღებს ხმას, თვით გაუწყვეტლივ არ იბრძვის, სხვას მისი არა ენაღვლებარა. სლავიანების საქ-მეც ასე იყო. ვიდრე მათ აღელვებამ არ გამოაშკარა ოს-მალეთის შინაგანი უძლურება, ვიდრე ეს მოძრაობა თითქმის მთელს ბალკანის ნახევარ-კუნძულს არ გადა-ედვა, ევროპა ხმასაც არ იღებდა. ბოლოს კი ცხადად დაინახა, რომ საზოგადობრივი და მართებლობითი ცვლი-ლება აუცილებელი საჭიროებაა ოსმალეთისათვის. ამ ცვლილების შედგენა მიანდეს ავსტრი-ვენგრიის მინისტრს ანდრაშს. ავსტრი-ვენგრია არ თანაუგრძნობდა სლავიანთა მოძრაობას, რადგანაც მისი ძალა დამყარებულია მის ქვეშევრდომთა სლავიანთა მორჩილობაზე, და ეშინოდა რომ ოსმალეთის სლავიანების მოძრაობამ არ მიიზიდოს ავსტრიის სლავიანებიცა და არ წინააღუდგინოს იგინი თვით ავსტრი-ვენგრიასა.

აბა წარმოიდგინეთ ახლა რას მოიგონებდა ანდრაში სლავიანების კეთილ-მდგომარეობისათვის. აი რა მოიგონა: 1) სრული სარწმუნოებითი თავისუფლობა მთელს ოსმა-ლეთშიო. 2) სარჯის იჯარით მიცემის მოსპობა, 3) ოს-მალეთის მთავრობამ უნდა გამოაცხადოს კანონიო, რომ-ლის ძალითაც ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში მოკრეფი-ლი სარჯი ამათვე უნდა მოხმარდესო, 4) უნდა დანიშ-ნოს კომმისია (მის წევრთა შორის უნდა იყვნენ მაჰმა-დიანნიც და ქრისტიანნიც) თვალ-ყურის დასაჭერად, რომ ოსმალეთმა აღსრულებაში მოიყვანოს მის მიერ დაპირე-ბული ცვლილებანი, 5) სოფლის მეურნეობის და ერთობ მიწის-მქონებლობის რიგიანი განყოფილება ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში უნდა იქმნასო.

ყველა ეს ახალი ამბავი არ იყო ოსმალეთის სლავი-ანებისათვის. ბევრჯელ გაეგონათ მათ ამისთანა დაპირე-ბა თვითონ ოსმალეთისაგან, მაგრამ არც ერთი დაპირე-ბა აღსრულებაში მოყვანილი არ უნახავთ. თუნდ ეგეც არ იყოს, ეს ახლად გამოგონილი ცვლილებანი იმისთა-ნანი არ არიან, რომ მირიანად ამოსთხარონ ის ბორო-ტება, რომლის მოსასპობლად სლავიანებმა წაავლეს ხელი თოფ-იარაღს. მათი დედა-სურვილი იყო სრულიადი გან-თავისუფლება ოსმალეთისაგან. მათ სურდათ ძირიანად ამოეჭრათ შემაწუხებელი იარა, ევროპა კი ურჩევდა მა-ლამო დაიდე რომ ტკივილი ცოტას ხანს მაინც დაგი-ყუჩოსო და სამუდამოდ მორჩენაზედ კი ნურას უკაცრა-ვათო. აი რა მიუგეს აჯანყებულმა სლავიანებმა ევროპას ანდრაშის წინადადების შესახებ:

„სწორეთ გითხრათ, ვერა გაგვიგიარა იმ ცვლილე-ბისა, რომელიც მოიგონეს ჩვენთვის ევროპის სახელმწი-ფოებმა მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შორის თანასწო-რობის დამყარებისათვის. ამ რიგი თანასწორობა შეუძ-ლებელია. ჩვენი გულითადი სურვილი მხოლოდ სრულიადი თავისუფლება არის. თუ არ იქნა და ვერ შევიძინეთ ეგ თავისუფლება, სიკვდილს ვირჩევთ და ვიდრე ცოცხალნი ვართ კი თოფ-იარაღს არ დავყრით. თუ ჩვენ არ ვიქნე-ბით, ჩვენი ცოლ-შვილი აიღებს ჩვენს სისხლსა და ამო-იყრის ოსმალეთის ჯავრსა.

„ჩვენ ჩვენი ხმა ევროპას მივმართეთ: დღეს გვიშ-ველეთ, დაგვიფარეთ; ხვალ გვიანღა იქნება.

„რა ჩვენი საქმეა—პოლიტიკური მანქანებანი; დეე ევროპის ჟურნალ-გაზეთობამ მაგით შეიქციოს თავისი თავი ვიდრე მოჰსწყინდებოდეს. ჩვენ კი ვეღარ შევჩერ-

დებიის — დაწყობილს საქმეს ბოლოც უნდა მოვუღოთ, უნდა ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. თოფ-იარაღს მხოლოდ მაშინ დავყრით, როდესაც მოგვეცემა იგივე თავისუფლება, რომელიც ჩერნოგორიას უპყრია ამ ჟამად. იმედი გვაქვს, დარწმუნებულნი ვართ, რომ დიდებული, ძლიერი რუსეთი მოგვეშველება და დაიცავს სლავიანების თავისუფლებას. ყოველივე ეს უნდა იქმნას ან ეხლა, ან აღარას დროს."

ამასობაში სლავიანების აჯანყება თან-და-თან ვრცელდებოდა და ბოლოს იქამდის მიაღწია, რომ თითქმის მთელი ბალკანის ნახევარ-კუნძული წინააღუდგა ოსმალეთსა. ევროპის შუამდგომლობამ ვერა გააწყოთ. ბერლინში შედგენილმა წინადადებამ *) ისე უნაყოფოდ ჩაიარა, როგორც ანდრაშის წინადადებამა. ევროპაზედ იმედ-გადაწყვეტილთა სლავიანებმა თვისი იმედი დაამყარეს თავის მოძმეს სერბიის ხალხს და მის მთავრობაზედ. მართლა და დიდი მოძრაობა და ღელვა ასტყდა ამისგამო სერბიაში. რადგანაც თვის მოძმეთათვის სერბიის ხალხმა თავი გამოიდო, მისი მთავრობა ორ წყალშუა დარჩა: თან ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ომი აეცილებინა თავიდგან, თან ხალხის წინააღმდეგობას ერიდებოდა. ბოლოს, რასაკვირველია, ხალხის სურვილმა გაიტანა და სერბიამ ომი აუტეხა ოსმალეთს. ესევე მოძრაობა აღჩნდა ჩერნოგორიაში. ჩერნოგორიის ხალხმაც ოსმალეთთან ომი დაიწყო. ამ რიგად ჰერცოგოვინის აჯანყებამ შორს გადგა ფეხი.

ამ მცირე ხალხთა თავგამოდებამ და თავისუფლებისათვის თავ-გამომეტებამ მოიპოვა დიდი თანაგრძნობა კაცობრიობის უკეთესთ წარმომადგენელთა შორის. ევროპიდამ ბევრი კაცი წავიდა სლავიანების ჯარში ჩასადგომად და საშველად და ფულითაც შემწეობა მიეცა. უფრო მომეტებული შემწეობა მისცა სლავიანებს რუსეთის საზოგადოებამ და ხალხმა ფულით, სხვა და სხვა ნივთით და კარგა ბლომად მეომარი კაციც მიაშველა. ამათ შორის, პირველთაგანი, ღენერალი ჩერნიაევიც იყო, რომელიც სერბიის ჯარის სპასპეტად დანიშნულ იქმნა. ამ გვარს თანაგრძნობას ევროპისას თუ რუსეთისას ბევრი მიზეზი და საბუთი ჰქონდა, მაგრამ მათში არა უკანასკნელი კაცთმოყვარეობის გრძნობა იყო. რა ტომის ხალხიც უნდა იყოს, სლავიანია, თუ სხვა, თუ კი მწუხარებაშია, თუ კი ვაივაგლახშია ჩავარდნილი, თუ კი იბრძვის თავისუფლების დაცვისათვის — შეუძლებელია, რომ გულითადი თანაგრძნობა და გულშემატკივრობა არ მოიპოვოს ყველგან საცა კი არ არის ჩამქრალი კაცობრიულის გრძნობის ნაპერწკალი. აი რა თვალით უყურებდა სლავიანების აჯანყებას უკეთესი ნაწილი ევროპისა და რუსეთის საზოგადოებისა.

რასაკვირველია რუსეთის საზოგადოებას თავისი საკუთარი საბუთიც ჰქონდა, რომ მხურვალე მონაწილეობა მიეღო. ზოგი ამას ჰფიქრობდა: ჰერცოგოვინის აჯანყებამ ხელახლად წამოაყენაო აღმოსავლეთის საქმეო. აი ეხლა დავესწრებით იმ დროს, როდესაც რუსეთმა აღსრულებაში უნდა მოიყვანოს თავისი უმაღლესი საპოლიტიკო დანიშნულებაო, ესე იგი, სლავიანების ხალხთა შეერთება და თავისის მფარველობის ქვეშ მათი აყვანაო. ზოგი ნატრობდა, ეგება ერთი ნაპირი ადგილი ზღვის პირისა, თუ ხმელეთისა, ხელში ჩავიგდოთ სადმეო. ამ ფიქრებმა დაჰბადა მრავალი ეჭვი ევროპაში და ევროპის სახელმწიფოების მთავრობამ ყური აცქვიტა.

სლავიანებს დიდი იმედი ჰქონდათ რუსეთისა: დღე დღეზე ელოდნენ — აი მოვა რუსის ჯარი და მოგვეშველებაო. ამ ლოდინში სერბიამ კინაღამ სული დალია, და რუსის ჯარი კი არა სჩანდა. ეს ამაო ლოდინი ბევრად რუსის ჟურნალ-გაზეთების ბრალი იყო. ეს გაზეთები გაცხარებით ყვიროდნენ, რომ რუსეთის საზოგადოება და ხალხი საშინელ მოძრაობაშიაო, დიდიდგან პატარამდე მარტო იმ ფიქრშია — წავიდეთ სლავიანები დავიცვათო.

როგორ იმოქმედეს ან სლავიანებმა ან ოსმალოებმა ურთიერთის შორის ბრძოლაში, რა განსაცდელი გამოიარეს ან ერთმა, ან მეორემ — ამაზედ ვრცლად საუბარი მეტია მით უფრო, რომ ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად მკითხველს უჩვენოდაც ცნობილი აქვს. ყოველი ამისი ბოლო ეს იყო, რომ ოსმალომ დაამარცხა სერბია, ჩერნოგორიამ კი გაიმარჯვა, და მათ შორის ჩამოვარდა დროებითი ზავი. ამით გათავდა პირველი ხანა სლავიანების მოძრაობისა.

(დასასრული შემდეგ).

*) ბერლინისა და ანდრაშის წინადადებათა შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ ჰერცოგოვინისა და ბოსნიის გარდა, ბოლგარიაც იყო მოხსენებული.

---

## ცხოვრება და კანონი

### წერილი მეორე.

წინა წერილში ჩვენ თვალი გადავავლეთ მეოთხედობას იმ მხრით, რა მხრითაც იგი შეეხებოდა ადამიანის შინაურს მშვიდობიანად ცხოვრებასა. რომ ცნობიერად და რიგიანად მივმართოთ ეხლა იმ საგანთა, რომლის ვითარების ახსნაც ჩვენ პირველს წერილში დავპირდით მკითხველს, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, გამოკვლევა მის თუ რა ნერგზედ არის აღმოცენებული ეგ მეოთხედობ და რა ეკონომიური ზედ-მოქმედება აქვს ქვეყნის ნივ-

თიერს კეთილ-დღეობაზედ. რაკი ამ მხრითაც ეგ მეოთხედობა განიხილება, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება მისი ავ-კარგიანობის სასწორი.

რასაც ევროპაში მიწის რენტას ეძახიან, იმას ჩვენში ღალა ჰქვიან. ღალა არის ის სასყიდელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის მომქმედი იხდის მიწის პატრონის სასარგებლოდ. ყოველს გვარს ეკონომიურს მოღვაწეობაში ცილებას (соперничест о) ცოტად თუ ბევრად ზედ მოქმედება აქვს სასყიდლისა, ანუ ფასის აწევ-დაწევაზედ. მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის მეოხებითაც ფასი, თუ სასყიდელი, განისაზღვრება ხოლმე. მაგისთანა ძალა-ჩვეულებაა. ღალის ზომიერებაზედ და რაოდენობაზედ ამ უკანასკნელს ძალას უფრო დიდი ზედ-მოქმედება აქვს, ვიდრე ცილებასა. აქ ჩვეულება სწორედ რჯულთ უმტკიცესია.

ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ცილებას თითქმის ადგილიც არა აქვსო, მარტო ჩვეულება მოქმედობსო. ეს საზოგადოდ ცნობილი და აღიარებული ჭეშმარიტება ჩვენში ბევრს ცხადსა და უცილო მაგალითებს წარმოგვიდგენს.

ქვეყნიერობაზედ ორ გვარი ღალა ყოფილა და არის ჩვეულებაზედ დამყარებული: ერთი-ის სასყიდელი (სულადით, თუ ფულით), რომლის რაოდენობაც და ზომაც წინადვე განსაზღვრული და ცნობილია, მაგალითებრ: დღიურზედ კოდი, დღიურზედ მანეთი, ანუ მეტნაკლები; მეორე—ის სასყიდელი (უსათუოდ კი სულადით და არა ფულით), რომლის რაოდენობასაც ნამუშევრის წილი შეადგენს და რომლის ზომაც წინადვე არ არის ცნობილი, მაგალითებრ, მეექვსედი, მეხუთედი, მეოთხედი და სანახევრო. იმ გვარს ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწის-მომქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრობას" ეძახიან (половничество, mètayage), ჩვენში კი „წილზედ-ჭერას" იტყვიან. სიტყვა „მონახევრობა" ევროპაში წარმოდგა იქიდგან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილად ღალა ნამუშევრის ნახევარი იყო. ეხლა კი ეგ სახელი საზოგადოდ „წილზედ-ჭერას" ჰქვიან, ნახევარი იქნება, მესამედი, თუ მეოთხედი—სულ ერთია. რადგანაც ჩვენი სიტყვა „წილზედ-ჭერა" უფრო მართლად გამომთქმელია, ამისათვის ჩვენ ყველგან, სადაც ამ საგანზედ საუბარი ჩამოგვივარდება, ამ სიტყვას ვიხმარებთ.

წილზედ-ჭერა ადგილ-მამულისა დიდის ხნის ამბავია, დიდიხნის შეთვისებულია ჩვეულებისაგან და მისგანვე ყოველის მხრით განვითარებული. ინდოეთის ძველს კანონებში მოხსენებულია მეექვსედი და მეოთხედი ნამუშევრისა მიწის-ღალად. ევროპაში „წილზედ-ჭერა" რომაელთაგან არის შემოღებული და მათგან მომდინარეობს. ძვირ კიდევ კატონი და პლინი იხსენიებენ გლეხობას, რომელთაც ადგილ-მამულები წილზედ ჰჭერებიათ. ევროპიის ეხლანდელმა ხალხებმა ეგ ჩვეულება რომაელთაგან მიიღეს XIII საუკუნეს, ვენეციაში წილზედ-მჭერელნი ადგილ-მამულისა აძლევდნენ პატრონს მესამედს, მეოთხედს ნამუშევრისას და ნამკას კი სრულიად. რომის გამპანიაში დღესაც მეხუთედია, ტოსკანაში—ნახევარი, ლუკაში—ორი მესამედია. ერთობ იტალიაში დღესაც წილზედ-ჭერა ადგილ-მამულისა ძალიან გახშირებულია. 1861 წელსა იტალიაში წილზედ-მჭერელნი 1,284,286 კაცი ყოფილა. ადგილ-მამულის მაგვარი ჭერა იტალიაში სამუდამოა. თუმცა ზოგან თვითო წლობით შეიკვრიან ხოლმე მიწის-პატრონი და მიწის მომქმედი ხელწერილითა, მაგრამ ეგ ხელ-წერილი ყოველ წლივ ახლდება მარტო ჩვეულების თვით-რჯულობისა და სიმტკიცისაგამო. ჩვეულებას ამ შემთხვევაში ისეთი ძალა აქვს იტალიელთ შორის, რომ ვერც მიწის-პატრონი ჰბედავს მის ღალატსა, ვერც მიწის-მომქმედი. ერთხელ დადგინებული ნამუშევრის წილი არც იკლებს, არც მატულობს. აქ, იტალიაში, ამ ჩვეულების მფარველობითა მიწის-მომქმედი წილზედ-აღებულს მამულზედ დგას, მასზედ აქვს ბინა მოკიდებული. ვიდრე მამულის პატრონს თავისას აძლევს, იმას ადგილ-მამულიდამ ვერ დაითხოვს მიწის-პატრონი, ბინას ვერ მოუშლის, მას ადგილ-მამული საშვილიშვილოდ უჭირავს. ეს უფლება გლეხისა კანონზედ კი არ არის დაფუძნებული, დამყარებულია მხოლოდ ჩვეულებაზედა. გარდა ამისა იმავე ჩვეულების ძალით მიწის-პატრონი მოვალეა მიწის-მომქმედს წარმოების ხარჯში მიუდგეს. ზოგან საწარმოებელს თანხას მამულის პატრონი სრულად თვითონ აძლევს მიწის-მომქმედს, ზოგან ნახევარს აძლევს, ზოგან აძლევს მარტო საქონელს და იარაღს, ზოგან თესლსა და სხვა ამ გვარსა. ერთმა რომ სადმე რაიმე ცვლილების შემოღება გაბედოს, მთელი ქვეყანა, დიდი და პატარა, ყაყანს და ალიაქოთს შექმნის თურმე. საფრანგეთშიაც ასეა. აქაც ძალიან გახშირებულია „წილზედ-ჭერა" ადგილ-მამულებისა. 1859წ. 1,356,909 წილზედ-მჭერელი მამულისა ყოფილა საფრანგეთში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საფრანგეთში მოკლე ხნობით იღებენ წილზედ ადგილ-მამულებსა. ხშირად ვადა სამს წელიწადზედ მეტი არ არის.

ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, ორ გვარი ღალა იყო. წილზედ-ჭერა ჩვენში თუმცა ყოფილა და არის კიდეც, მაგრამ ძალიან იშვიათად მოხდება, რომ მაგ გვარად სახნავი-მიწა გაიცეს ან აიღებოდეს ერთს წელიწადზედ მეტის ხნით. ეგ ჩვეულებაში არცა ყოფილა და არც დღეს არის. ამიტომაც თითქმის ვერსად ვერ ნახავთ, რომ წილზედ აღებულს ადგილ-მამულზედ ჩვენებურს გლეხს

ბინა მოეკიდებინოს, ჩვენებური გლეხი დასახლებულ იყოს. ეს ერთი შესანიშნავი მხარეა, რომლითაც ჩვენი ჩვეულება იტალიის ჩვეულებას არა ჰგავს. სხვა მხრივ-კი ეგ ჩვეულება ბევრით ემგზავსება. ჩვენშიაც, თუ გლეხი წილზედ სახნავ-მიწებს იღებდა, უსათუოდ იმ პირობით, რომ მამულის პატრონს მიწის წარმოების ხარჯში ცოტა თუ ბევრი მონაწილეობა მიეღო. თუ მეტს წილს ჩაიდებდა მამულის პატრონი, მეტი მონაწილეობაც უნდა მიეღო ხარჯში. თუ მამულის პატრონის წილად ნახევარი იყო ნამუშევრისა, მაშინ თესლი სრულად მამულის პატრონისა უნდა ყოფილიყო, ხშირად მკის ხარჯიცა, ნამუშევრის ზიდვა და ლეწვა კი თავ-თავისი. წილზედ-ჭერაში ჩვენს ჩვეულებას ამაზედ წინ ფეხი არ წაუდგამს. მაგრამ მაინცა და მაინც წილზედ-ჭერა საზოგადოდ ხშირი არ იყო და დღესაც არ არის. ხშირად, და ძალიან ხშირადაც, ჩვენში გადაწყვეტილი ღალა წარმოებდა, დღიურზედ ერთი კოდი; ამაზედ მეტი იშვიათად თუ სადმე მოითხოვდა. ჩვეულების ძალ-მომრეობა ისეთი მტკიცე და ძლიერი იყო ამ შემთხვევაში, რომ არა რაიმე სხვა ეკონომიურმა ძალამ ამ ღალის აწევ-დაწევაზედ ვერ იმოქმედა. თვით ყოვლად შემძლემ ბატონ-ყმობამ მაგ ღალის ზომას ვერა გადაამეტა რა, და ერთხელ გადაწყვეტილი ღალა ნამუშევრის წილზედ ვერ შეჰსცვალა. პირიქით, ჩვენ იმისთანა მაგალითებიც ვიცით, რომ ახალ შემოღებული მეოთხედობა მაგ ჩვეულების ძალმა დაიმორჩილა და ისევ დღიურზედ ერთს კოდად შეჰსცვალა.

ერთის სიტყვით, ჩვენში წილზედ-ჭერას ხალხი და ხალხის ჩვეულება ეურჩებოდა, და, თუ სადმე სუფევდა, იმ აუცილებელის ნიშნით სუფევდა, რომ გლეხი, თუ წილზედ მამულს აიღებდა, არამც თუ სამუდამოდ მასზედ ბინას მოიკიდებდა, არამედ სანგრძლივობასაც ერიდებოდა და, ამას გარდა, რამოდენ წილშიაც მამულის პატრონი ჩაუდებოდა, იმოდენად მეტ-ნაკლები მონაწილეობა უნდა მიეღო ხარჯშიაცა. აქედამ ჰსჩანს, რომ იმისთანა სამუდამოდ წილზედ-ჭერა, რომელიც ამჟამად განხორციელებულია მეოთხედობაში, ჩვენის ცხოვრების ნერგზედ არ არის აღმოცენებული, რადგანაც, ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ, მეოთხედობა წილია და არა გადაწყვეტილი ღალა, და მერე იმისთანა წილია, რომლის მოპოებაშიაც ხარჯი სრულად ერთის მხრისაა და არა ორივე მონაწილისა მაინც.

ხოლო ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ საიდამაც უნდა იყოს ეგ მეოთხედობა წარმომდგარი, მაინც და მაინც იგი ცხოვრების წინ წადგომაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ბატონ-ყმობას წარმოვიდგენთ. რაც უნდა იყოს გლეხი სხვის ნების ანაბარად არ არის დარჩომილი. მძიმეა თუ სუბუქია ეგ მეოთხედობა, გლეხმა იცის, რომ მას ბინას ვერავინ შეუშლის, და რაც მეოთხედს გადურჩება, ის უცილოდ და ხელ შეუხებლად მისია. მაგრამ, ეკონომიურის მხრით, წილზედ-ჭერას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ—მაინც და მაინც მავნებელი შედეგი მოსდევს. რადგანაც აქ ნაშრომის ნაყოფში ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წილი უდევს, გლეხს არ ექმნება ისეთი ხალისი, ისეთი თავ-გამომეტებითი მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თვის საკუთრებაზედ მუშაობს. მაშასადამე, შრომა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამოდენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი. მეორე—მიწის განოყიერებისათვის, მიწის გაკეთებისათვის გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ-რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგება და წილი კი სრულად მიაქვს. ადამ სმიტი ამბობს: „მხვნელ-მთესველს (რომელსაც წილზედ უჭირავს მიწა) არა ვითარი სარგება არა აქვს მამულის კარგა შემუშავებისათვის ხარჯი რამ გასწიოს, იმიტომ-რომ მიწის პატრონი იმ დანახარჯის მოგებაში წილს იდებსო და ხარჯში კი არაო. მეათედი წილი ხომ ცოტაა, მაგრამ ყველასაგან მიღებულია, რომ ეგეც ამ მხრით სოფლის მეურნეობის წარმატებას დიდად აბრკოლებსო." რომ ეს მართალია, აი ამის დასამტკიცებლად რა მაგალითებია შენიშნული. არტურ იუნგი მოგვითხრობს: „სადაც კი წილზედ-ჭერა არის, შეიძლება კაცმა გულდაჯერებით ჰსთქვასო, რომ იქ მცხოვრებნი უხეირონი და საცოდავად ღატაკ-გაწვალებულები არიანო. სადაც, მილანის მაზრაში, უხეირო, ღარიბი, მოურწყავი მიწა შემხვედრიაო, ყველგან ისე გამოსულა, რომ მიწები წილზედ უჭირავთო". მაკ-კულოხი ამბობს: „წილზედ-ჭერა ყველგან წარმატების დამაბრკოლებელიაო, ასე რომ წილზედ-ჭერამ ყველგან მხვნელ-მთესველნი უკიდურესს სიღარიბეში ჩააგდოო". ჯონ სტუარტ მილლი ამბობს, რომ თუმცა წილად-ჭერას ბევრი მაქებარიცა ჰყავსო, მაგრამ ეს წესი არც ერთის მხრით ისეთი სასარგებლო არ არის, რომ სადაც მას ფესვი არა აქვს, იქ ხელახლად შემოიტანონო. ამის სიტყვით, გადაწყვეტილს ღალას კი ის სიკეთე მაინც მოსდევს რომ ბევრია, თუ ცოტაა გლეხს ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ-რომ ამ შემთხვევაში მომატებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და არა შრომის ნაყოფის გაწილადებისა. აქ შრომა ცოტად თუ ბევრად თავისუფალია და რამოდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოვლად შემძლებელიც არის.

ეს წერილი ძალა—უნებურად გაგვიგრძელდა და ამის გამო პირველ წერილში მოხსენებული საგნები ამ ჟამად გაურჩევლად დაგვრჩა. ეგ შემდეგისათვის იყოს.

## მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის.

**სერბია.** — რაც შეეხება ოსმალეთის მოსაზღვრე სამთავროებს, მათ-შორის პირველი ადგილი უჭირავთ სერბიას და რუმინიას, და აწ ამ სამთავროების მოკლე განხილვას შევუდგებით.

სერბიას ამ ჟამად უჭირავს სივრცე 791 ოთხ-კ. მილი, რომელზედაც სცხოვრობს 1,377,068 სული. ამათთა შორის 1,100,000 სერბიელია, 130,000 რუმინები (ვლახები) და დანარჩენი ბოშები, ურიები და სხვ. სერბიაში არის მონარხიული მმართველობა, რომლის წარმომადგენელს უწოდებენ კ ნ ი ა ზ ს (ქართულად მთავრად ითარგმნის). კნიაზის უფლება დამკვიდრებულია ობრენოვიჩების გვარში და ისე განუსაზღვრული არ არის როგორც ოსმალეთში. კანონთ-მდებელი უფლება ეკუთვნის როგორც კნიაზს, აგრეთვე სკუპშტინას, ე. ი. სერბიის ხალხის წარმომადგენელთა კრებას (2,000 კაცზე ერთი დეპუტატი). ამ წარმომადგენელთა კრებაში ამ ჟამად ირიცხება 134 წევრი *). ყოველს კაცს (მოჯამაგირე-მსახურთა გარდა), რომელიც კი 21 წლისზედ მეტია, აქვს არჩევანის უფლება.

სერბიაში არის აგრეთვე სახელმწიფო საბჭო, რომლის წევრთა ნიშნავს მხოლოდ კნიაზი.

ამ ჟამად სერბიის ტახტზედ ზის მილანი IV ობრენოვიჩი. პარიჟის ტრაქტატის ძალით (30 მარტს 1856წ.) სერბია იმყოფება ევროპის უპირატესთა სახელმწიფოთა ფარველობის ქვეშ. სერბია იხდის ყოველ წელს განსაზღრულს ხარკს ოსმალეთის სასარგებლოდ.

ამ უკანასკნელ ოცდა ათის წლის განმავლობაში სერბიის შემოსავალმა იმატა თითქმის ნახევარ მილიონამდისინ. ამ ჟამად წლის შემოსავალი სერბიისა შეადგენს მილიონ-ნახევარ მანეთსა. გასავალიც თითქმის ამოდენაა. წარსულ წლამდინ სერბიას სრულებით არა ჰქონდა ვალი.

სერბიელი 20 წლიდგან 50 წლამდე ვალდებულია სამხედრო სამსახურისა: ოთხი წელიწადი ემსახურება მომქმედ ლაშქარში, ოთხი წელიწადი რეზერვში და დანარჩენი 24 წელიწადი ითვლება საერო ჯარში. ომიანობის დროს სერბიას შეუძლიან გამოიყვანოს ჯარად 135,000 კაცამდე.

ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში სერბიამ დიდად წინ წაიწია როგორც ხალხის განათლებით, აგრეთვე სხვა ფერივადაც. ხალხის განათლებაზედ სერბიას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. 1808 წ. სერბიაში მხოლოდ ერთი სასწავლებელი იყო, 1836 წ.—72, სადაც 2,500 შეგირდი სწავლობდა. 1846 წ. სასწავლებელთა რიცხვი გახდა 213 (მათ შორის 18 საქალებო) და მოსწავლეთა 6,200. ბოლოს დროს სასწავლებელთა რიცხვი ოთხასია, რომელთშიაც სწავლობს 20,000 შეგირდი. ამ სახალხო სასწავლებელთ გარდა, სერბიას აქვს სხვა და სხვა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებიცა. სერბიის სატახტო ქალაქი არის ბელგრადი, სადაც სცხოვრობს 27,705 სული.

—

**რუმინია.** — ადრინდელი მოლდავია და ვლახეთი 1859 წ. შეერთდენ და მით დამყარდა ეხლანდელი რ უ მ ი ნ ი ა. მისი სივრცე შეადგენს 2,200 ოთხ კ. მილს და მასზედ მცხოვრებთა რიცხვი 5 მილიონზე მეტია. უმთავრესი ნაწილი ამ რიცხვისა ($4^1/_2$ მილიონი) ეკუთვნის რუმინებს (ვლახებს) და დანარჩენი ბოშებს, ურიებს, ვენგრებს, სომხებს და სხვ. ეხლანდელი რუმინები არიან იმ ხალხთა შთამომავალნი, რომელთაც ეჭირათ ძველ დროში თითქმის მთელი ბალკანის ნახევარ კუნძული, საბერძნეთის ჩრდილოეთი და რომელთაც ბერძნები უწოდებდნენ ფრაკიელებს. შემდეგ, რომაელებმა დაიპყრეს ეს ქვეყანა და დაარქვეს მას დაკია. ეხლანდელი რუმინების ენა შერეულია, ორის ენისაგან—ლათინურისა და სლავიანურისაგან—არის შემდგარი.

რუმინიაში, როგორც სერბიაში, განსაზღრული მმართველობაა, ე. ი. მთავრობითი უფლება ეკუთვნის როგორც კნიაზს, აგრეთვე ხალხის წარმომადგენელთა კრებას, რომელიც განიყოფება ორ ნაწილათ: სენატი (76 წევრია) და რჩეულთა კრება (157 წევრია).

ომიანობის დროს რუმინიას შეუძლიან გამოიყვანოს ჯარში 144,668 კაცი.

რუმინიაში ამჟამად იმყოფება კნიაზად კარლო I. (1866 წლიდგან), პრუსიის კოროლთა გვარის-კაცი. სატახტო ქალაქი არის ბუხარესტი, რომელშიაც სცხოვრობს 221,805 სული.

დიდი ვალი აწევს რუმინიას და ამისგამო მისი ფინანსიური მდგომარეობა ვერაფრად არის.

—

ბალკანის ნახევარ კუნძულზე იმყოფება ერთი პატარა, მაგრამ ძალიან შესანიშნავი სამეფო ანუ სამთავრო—ჩ ე რ ნ ო გ ო რ ი ა. მისი სივრცე შეადგენს 80 ოთხ-კ. მილს, და მცხოვრები—190,000 კაცსა. ეს პატარა სახელმწიფო მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს განთავისუფლდა ოსმალებისგან და ამ ჟამად სრულებით თავისუფალია. ბარემ ოსმალეთს ძალიან უნდოდა ხელახლად დაეპყრა ეს

---

*) 33-ს ნიშნავს მთავრობა და 101 ირჩევს ხალხი.

ქვეყანა, მაგრამ ხალხის თავ-მოწონებამ, სამშობლოსი და მამულის თავ-განწირულმა სიყვარულმა, ერთი ერთმანეთისთვის თავდადებამ და შეუპოვარმა ვაჟკაცობამ, ამასთანავე თვით ჩერნოგორიის მდებარეობამ ოსმალეთის სურვილს ფრთა მოუკვეთა.

ჩერნოგორიაში 1865 წ. სასწავლებელთა რიცხვი იყო მხოლოდ 12, დღეს კი მათი რიცხვი 50 მეტია. ჩერნოგორიას შეუძლიან გამოიყვანოს ჯარში ომიანობის დროს 20,000 კაცი. თქმა აღარ უნდა რომ ძალიან მეომარი ხალხი უნდა იყოს ის ხალხი, რომელსაც შეუძლიან 190,000 კაცზე გამოიყვანოს 20,000 მეომარი.

—

ამ ჟამად ჩერნოგორიაში მთავრობს კნიაზი ნიკოლოზ I. მისი უფლება თითქმის განუსაზღვრელია.

—

**ავსტრი-ვენგრიის იმპერია.**—რუსეთის დასავლეთით და ოსმალეთის ჩრდილოდ მდებარეობს ავსტრო-ვენგრიის იმპერია. ამ იმპერიას უჭირია 11,305 ოთხკუთხე მილი სივრცე; მასზედ დასახლებულია 36 მილიონამდე მცხოვრები. ავსტრი-ვენგრიის მცხოვრებნი ერთის გვარ-ტომის ხალხნი არ არიან და იმპერიის ტკივილს მცხოვრებთა გვარ-ტომობის სხვა და სხვაობა შეადგენს.

გვარ-ტომობით ეს მცხოვრებნი განიყოფებიან ოთხს უმთავრესს ნაწილად: გერმანიელნი (ნემეცნი) ცხრა მილიონნაა, რომაელთა ტომი—სამ მილიონ ნახევარია, ვენგერნი ანუ მადიარნი ხუთ მილიონ ნახევარია. სხვა წვრილ-წვრილნი ტომნი, ბერძნები, სომხები, ებრაელნი და ბოშნი—სულ ერთად ერთ მილიონ ნახევარია.

სლავიანთა ტომისანი არიან სხვა და სხვა თემნი, სახელდობრ: ჩეხი, ანუ ბოჰემიელი, მორავი, სლოვაკი, რომელნიც შეადგენენ შვიდს მილიონს სულსა; პოლაკი (პოლშელი)—ორ მილიონ-ნახევარს; რუსინი—სამ მილიონზედ ცოტა მეტს; სლოვანი და ვინდი—ერთს მილიონზე მეტს; კროატი ანუ ხროვატი—ერთ მილიონ ნახევარს და ბოლგარი 30,000 სულსა.

ავსტრი-ვენგრიაში აღიარებულია სახელმწიფო სარწმუნოებათ კათოლიკის სარწმუნოება. ამ სარწმუნოებისა იმპერიაში ოცდა რვა მილიონამდე სული ირიცხება; ოთხს მილიონამდე მართლ-მადიდებელნი არიან, სამ მილიონ ნახევრამდე ლიუტერანელნი დაკალვინელნი, სომხისა სარწმუნოებისა უნიატნი და სხვანი—63,000 სული, ებრაელთ სარწმუნოებისა—ერთ მილიონზე მეტი.

ამ იმპერიის ქვეყანა ბუნებით მდიდარი ქვეყანაა; სახნავ-სათესი მიწა და საძოვრები ნაყოფიერია. სასოფლო მეურნეობა კარგად განვითარებულია. სამი მეოთხედი მცხოვრებთა ადგილ-მამულის მუშაკნი და მოწარმოენი არიან. პური, ღვინო (ვენგრიის ღვინო განთქმულია), სელი, თამბაქო, ხილი, ბოსტნეული უხვად მოდის, ასე რომ სამზღვარ გარედაც გააქვთ. პირუტყვთ მოშენება — ცხენისა, ხარისა, ცხვრისა, ღორისა, აბრეშუმის ჭიისა — სხვა მეურნეობას არ ჩამოუვარდება. ვენგრიის ცხენი და საქონელი ნაქებია. ტყეს უჭირავს ერთი მესამედი ბარად დაცემულის სივრცისა, ოცდა თექვსმეტი მილიონი საჟენი შეშა ყოველ-წლივ ამ ტყეებიდამ გამოაქვთ. ავსტრი-ვენგრიის იმპერია მადნებითაც მდიდარი არის. ამ მადნების შემოსავალი წელიწადში სამოც მილიონზე მეტი მანეთია. აი უფრო რა მადნეულობა მოიპოება იმპერიაში: ქვა-ნახშირი, რკინა, ოქრო, სპილენძი, ვერცხლი, კალა, ვერცხლის-წყალი (სინდიკი), ცინკი, ტყვია, გოგირდი, მარილი, ჩინურის (ფარფორის) თიხა.

ხელოსნობამ ამ ბოლოს დროს ძალიან წინ წაიწია მეტადრე იმპერიის დასავლეთის მხარეში. ხელოსნობის უმთავრესნი ნაწარმოებნი არიან: მაუდი და შალები, მინისა და ფარფორის ჭურჭელი, ტილოები, რკინეულობა, შაქარი და სხვანი. ავსტრი-ვენგრიის იმპერიას ხელოსნობიდგან აქვს შემოსავალი წელიწადში ათას მილიონამდე მანეთი. აღებ-მიცემა გაძლიერებულია და თან და თან უფრო მატულობს და ვრცელდება. 1875 წელს შემოზიდულა სხვა ქვეყნებიდამ სამას სამოცდა ხუთ მილიონ მანეთის საქონელი და თითქმის ამდენივე სხვა ქვეყნებს იმპერიიდამ გაუტანიათ.

იმპერიაში 16,812 ვერსტზე რკინის გზები გადის სხვა და სხვა ქალაქთა და სოფელთ შორის. რკინის გზებ გარეითად საქონლის საზიდად და მცხოვრებთა მისვლა მოსვლისათვის ზღვაში მუშაობს 7,440 ხომალდი, რომელთ შორის 100 ცეცხლის გემია; ამას გარდა დუნაის მდინარეზედ და სხვა და სხვა წყლებზედ და ტბებზედ დადის 145 ცეცხლის გემი და 560 დიდი ნავი. ამათს რიცხვში სამხედრო გემ-ხომალდნი არ ჩაგვითვლია.

იმპერიაში მოქმედობს 30,000 სახალხო სასწავლებელი, 100 სასტატო სემინარია, 293 გიმნაზია, 8 უნივერსიტეტი და 87 სხვა და სხვა სახელ-წოდების უმაღლესი სასწავლებელი.

როგორც ყველგან ევროპაში ისე ავსტრი-ვენგრიაში დაწესებულია საყოველთაო სამხედრო სამსახურის მოვალეობა. ეგ წესი დაიდგინა 1868 წელსა. იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ოცის წლისა შესრულდება თუ არა ვალდებულია ჯარში ჩადგეს. სამსახურის ვადა სულ თორმეტი წელიწადია, აქედამ: სამი წელიწადი უნდა იმსახუროს მოქმედ ჯარში, შვიდი წელიწადი—რეზერვში და ორი წელიწადი—ლანდვერში, ლაშქართ მთავარი თვითონ

-იმპერატორია. მშვიდობიანობის დროს იმპერიას შეუძლიან თოფ-ქვეშ დააყენოს ერთს მილიონზე მეტი კაცი. სამხედრო გემ-ხომალდი სულ 68 არის, 404 ზარბაზანით შეჭურვილი.

1867 წ. 17 თებერვალს იმპერატორის ოქმის ძალით ავსტრიის იმპერია ორ ნაწილად გაიყო. ამ ორ ნაწილს შუა მიჯნად დაიდვა ერთი პატარა წყალი, რომელსაც ლ ე ი ტ ა ჰქვიან. ამიტომაც იმ ნაწილს, რომელიც ლეიტის გამოღმა არის უწოდეს ცისლეიტანია (ესე იგი, ლეიტის ამიერი), გაღმით ნაწილს უწოდეს ტრანსლეიტანია (ესე იგი, ლეიტის იმიერი). ეს ორივ ნაწილი სივრცით, თუ მცხოვრებთა რიცხვით თითქმის თანასწორნი არიან, ხოლო მცხოვრებთა გვარტომობით განსხვავდებიან. ცისლეიტანიაში ანუ უკეთ ვსთქვათ, საკუთრივ ავსტრიაში უფრო გერმანიელნი და სლავიანების ტომია, და სლავიანების ტომი ბევრად მეტია გერმანიელთ ტომზედ; ტრანსლეიტანიაში კი რიცხვით პირველი ადგილი ვენგრთა, ანუ მადიართა ტომს უჭირავს, თუმცა აქაც იმყოფებიან გერმანიელნი, სლავიანები და სხვ. ეხლანდელი იმპერატორი ფრანც-იოსები I ავსტრიის იმპერატორათ ითვლება და ვენგრიის კოროლათ.

თუმცა ამ ორივე ნაწილში ხელმწიფე ერთია, მაგრამ თვითეულს ნაწილს თავისი განსაკუთრებითი და მთავრობითი მმართველობა აქვს: ცისლეიტანიაში ავსტრიის რეიხსრატი და ტრანსლეიტანიაში—ვენგრიის სეიმი. პირველია ვენას, ავსტრიის დედა ქალაქში, მეორე—პეშტას—ვენგრიის დედა-ქალაქში.

ავსტრიის რეიხსრატი განიყოფება ორ პალატათ: დიდებულთა პალატი და დეპუტატთა პალატი. პირველის მწევრნი არიან: ყოველი სრული წლოვანი იმპერატორის სახლობისა, წარჩინებულთა გვართა სახლის უფროსნი, თავადნი, არქიეპისკოპოსნი და ის პირნი, რომელთაც ამათ გარეითად თვით იმპერატორი ამოირჩევს და დანიშნავს. ამ პალატში სულ 175 წევრია. დეპუტატთა პალატი შემდგარია იმ პირთაგან, რომელთაც თვითონ ხალხი ირჩევს დაფარულის კენჭის ყრითა ექვსის წლის ვადით. რეისტრატი მოქმედობს მხოლოდ ცისლეიტანიაში, როგორც ვსთქვით. ტრანსლეიტანიაში კი მთავრობითი მმართველობა ვენგრიის სეიმის ხელშია. ეს სეიმიც შემდგარია ორის პალატისაგან, ერთი დიდებულთა პალატია, რომელსაც ჰყავს 410 წევრი წარჩინებულის სასულიერო გვამთაგანნი და თავად-აზნაურთაგანნი; და დეპუტატთა პალატი, რომელშიაც 438 წევრია მცხოვრებთაგან ამორჩეულნი სამის წლის ვადით. როგორც ცისლეიტანიას, ისე ტრანსლეიტანიას ჰყავთ საკუთარი მინისტრები ცალ-ცალკე.

ამ ორის ნაწილის კავშირი იმაზეა დამყარებული, რომ ერთის სამეფო-მთამომავლობის ქვეშევრდომობა აქვთ, საერთო სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი და საერთო ჯარი ჰყავთ. ამ საერთო საქმეთა წარმოებისათვის რეიხსრატი და სეიმი თვითოეული თავის მხრით სამოცს კაცს ირჩევს. ამ ამორჩეულთაგან შესდგება ორი კრება, რომელსაც დელეგაცია ჰქვიან. ერთი დელეგაცია რეიხსრატისაა და მეორე სეიმისა. ამ ორს დელეგაციას საერთო საქმეთათვის ბჭობა და რჩევა ცალ-ცალკე აქვსთ და რასაც გადასწყვეტენ ურთიერთს აცნობებენ. თუ ვინიცობაა უთანხმოება ჩამოუვარდათ რაზედმე, მხოლოდ მაშინ ორივე დელეგაცია ერთად მოიყრის თავსა და ხმათა უმრავლესობით გადასწყვეტს საქმესა. ავსტრი-ვენგრიის საერთო საქმეთათვის დანიშნულია იმპერიის სამინისტრო, რომელშიაც ირიცხება სამი მინისტრი: უცხოეთის საქმეებისა და იმპერატორის სასახლისა, ფინანსისა და მხედრობისა. ეს სამინისტრო პასუხის-მგებელია მხოლოდ დელეგაციების წინაშე.

ავსტრი-ვენგრიის საერთო მმართველობას შემოსავალ-გასავლად დანიშნული აქვს 80 მილიონზე მეტი მანეთი. ცისლეიტანიის და ტრანსლეიტანიის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი ერთი და იგივე ზომის არ არის. პირველში გასავალი 20 მილიონზე მეტია ვიდრე შემოსავალი და მეორეში გასავალი 15 მილიონამდე გადამეტებულია შემოსავალზედ.

ავსტრი-ვენგრიას ადევს 2,340 მილიონი მანეთი ვალი. ამ ვალის გადახდასა და სარგებელზედ ეხარჯება 100 მილიონი მანეთი ყოველ წლივ.

ვგონებთ რომ ბევრს ქვეყანას არ გამოუვლია იმდენი ვაი-ვაგლახი და არ გამოუცდია იმდენი ბედის წინა და უკუღმა ბრუნვა, რაც ავსტრიის იმპერიასა. მერვე საუკუნეს, კარლო დიდის დროს, ავსტრია უბრალო სანაპირო მაზრა იყო რომის იმპერიისა, მას შემდეგ თან და თან გაძლიერდა. ავსტრიის გრაფები (მთავარნი) გარემო სამფლობელოებს იპყრობდნენ ძალით თუ ნება-ყოფლობითა, ბოლოს ისე განდიდნენ, ისე გაავრცელეს თვისი სამპყრობელო, ისე განძლიერდნენ, რომ მეცამეტე საუკუნეში ავსტრიის მთავარი (გრაფი) გერმანიის იმპერატორათ აირჩიეს. იყო დრო, სახელდობრ მეთექვსმეტე საუკუნე, როცა ავსტრიის იმპერატორს ეპყრა მთელი გერმანია, იტალია, ესპანია, ჰოლანდია და ამას გარდა აუარებელი ადგილები ამერიკასა და აზიაში. მოსამზღვრე ხელმწიფეებთან დამოყვრებისაგამო ავსტრიის იმპერატორებმა შეიძინეს ვენგრია, ბოჰემია, სილეზია, მორავია და სხვანი. ხოლო მეთვრამეტე საუკუნეს პრუსიის კოროლმა ფრიდრიხ II-მა შეარყია ავსტრიის ძლიერება. ამის შემდეგ და ნამეტნავად ნაპოლეონ I-ს დროიდგან იმპერიამ თან და თან უკან დაიწია. თუმცა ნაპოლეონ I-ს განდევნის შემდეგ გერმანიის იმპერატორის ხარისხი შერჩა ავსტრიის ხელ-

-მწიფეებს, მაგრამ ეგ მხოლოდ სახელწოდებითი იყო და თითქმის სხვა არაფერი.

1860 წ. იტალიამ, საფრანგეთის შემწეობით, სრულად განდევნა ავსტრია თვის ადგილებიდამ და დაამყარა საკუთარი იტალიის ერთიანი სამეფო. ექვსის წლის შემდეგ (1866 წ.) პრუსიამ ისე დაამარცხა ავსტრია, რომ ცოტას დარჩა მისი დედა-ქალაქი არ აიღო. პრუსიამ ამ გამარჯვების შემდეგ სრულიად გამორიცხა ავსტრია გერმანიიდამ, ჩამოართო ავსტრიის იმპერატორს გერმანიის იმპერატორის სახელწოდება და დიდი ხარჯი გადაახდევინა. ესრედ შეჭირვებული, დამარცხებული და დაუძლურებული ავსტრია აღარ იყო საშიში ვენგრიისა და სლავიანებისთვის. ამიტომაც მოჰსთხოვეს მას, ჩვენი უფლება ჩვენ დაგვითმეო და ამ საგანზედ სახელმწიფო ცვლილება რამ მოახდინეო.

(შემდეგი იქნება).

---

## ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

### II. *)

(ამწერელი შემოდის ერთ არც თუ გაჭართან, არც თუ ხინოვნიკთან.)

— მობძანდით, თქვენი ჭირიმე, მობძანდით! შემოსდგით ფეხი ანგელოზისა. არა, გაოცებით კი ნუ მიყურებთ. მე, თქვენ იცით, თუ რამდენი ჟამი და წელიწადია, რაც მოგელით?

— თქვენ იქნება სხვას ვისმე მოელით და შეცდომითა ბძანებთ.

— სულაც არა, თქვენმა მზემ. კარგათ ვიცი, რისთვისაც დაიარებით და სწერთ.

— მე გახლავარ ამწერელი ქალაქის ერთ დღიურის აღწერისა, რომელიც ამ ჟამათ....

— სწორეთ ვიცი, ვიცი ბატონო. განა არა ვხედავ, რომ თქვენ დილას აქეთ ამ ქუჩას ჩამოუარეთ? ვიცი რომ კარგათაც დაღალული ბძანდებით. უკაცრავათ კი ნუ ვიქნები და დაბძანდით ერთ წამსა. თუ წყალობას იზამთ, ერთ ფინჯანს ყავას მოგართმევთ? ინებეთ ჩვენი სახლის გაბედნიერება და ჩემ ჭერ ქვეშ ერთი ფინჯანი მიირთვით.

— გმადლობთ, მაგრამ ტყუილათ რათა სწუხდებით? ბევრი ასაწერი მაქვს და დამიგვიანდება. ერთი წამის საქმეა, უნდა გავათავო აქა და სხვაგან გიახლოთ. თქვენი გვარი და სახელი მიბძანეთ...

— ა...ბა... ბა.. ბა... ბა ... ბა! სანამ თქვენ ჩემს ოჯახში ყავას არ მიირთმევთ, არაფერს არ მოგახსენებ.—

— დამიგვიანდება ბატონო.

— არ შეიძლება, თქვენმა მზემ! ღარიბის ლუკმა გემრიელია, ხო მოგეხსენებათ; ერთი ფინჯანი შეირგეთ, ბატონო.

— თქვენი ნება იყოს.

— აბა დედაკაცო! ერთი კარგი შენებური ყავა მოართვი ამ ჩვენს ოქროს სტუმარსა. მე თქვენ მოგახსენოთ, ღარიბნი კი ვართ, მაგრამ ადამიანის პატივისცემაც ვიცით. თქვე დალოცვილო, უარს რო ბძანებთ, ეგ რა საქნელია? მთელი დღე ამ სიცხე-პაპანაქებაში, მზეში და მტვერში დილიდამ აქამდინ ხალხის გულისთვის იტანჯებით და ხალხმა პატივი არ უნდა გცეს? მართალია ხალხში ხო მოგეხსენებათ ბევრნი უმეცარნი კაცნი არიან რომ არ გაეგებათ, თუ რა ძვირფასათ უნდა აფასებდნენ ამ აწერასა და რა პატივისცემა შეგშვენით თქვენა და თქვენისთანა ამწერლებსა, მაგრამ მე კი ვიცი. ერთი საწყალი კაცი ვარ, მაგრამ....

— აი ბატონო, შეუდგეთ კიდეც. თქვენი სახელი და გვარი? რა ხელობაზე ხართ, რამდენი წლისა ხართ...

— ყველას დაწვრილებით მოგახსენებთ: სახელსაც, გვარსაც და ყველაფერსაც. მხოლოთ ჯერ პირველათ თქვენი მახვილი ყური და გულისხმიერება ერთს ჩემს ამბავს უნდა დაამყაროთ. ჩემი უმორჩილესი თხოვნა ეს გახლავს და გთხოვთ მოისმინოთ კიდეცა.

— თქვენ იქნება საჩივარი რამა გაქვთ? ეგ ჩვენი საქმე არ გახლავს.

— ვიცი, კარგა ვიცი, ჩემო ბატონო, რაც თქვენი საქმეა და რაც არ არის. ჰეი გიდი! ასე ღარიბათ რომ მხედამთ, ამას ნუ უყურებთ; ჩვენც ერთი დრო გვქონია. ყველა ავი და კარგი კარგა ვიცი, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუშაში არ მოუვა. ქვეყნიერობის ამბავი ასეა. ცხოვრება ძნელი, დაუდგრომელი რამ არის. სომხები იტყვიან, აპრილე ერწათე, აპრილე ერკათე; ზოგი სიცოცხლე ოქროა და ზოგი რკინაა. ასე არ გახლავს?

— მართალია. მაგრამ...

— მართალი როგორ არ არის. ქვეყანა ზღვაა, მიდის კაცი; ზოგს ატივტივებს, ზოგს დასძირავს. რისგან არის? ადამიანის ბოროტობისაგან, შურისაგან და ავგულობისაგან. რა გინდა მე თვალგაუმაძღარო კაცო, რომ სულ შენკენ იწევ და სხვას კი არას დასდევ. ნათქვამია: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“; თითონ შენც ირგე და სხვასაც არგუნე და მიუწილადე. მაგრამ ეხლანდელ დროში ყველა ეჩო გამხდარა; ყველა იმასა ცდილობს, რომ სულ თავისაკენ მიითალოს ყოველი სიკეთე და სარგებლობა... მიირთვით გეთაყვა ყავა. ამ დედა-კაცმა, უნდა მოგახსენოთ, საგანგებო ყავის მოხარშვა იცის.

— აი ბარემც თან დავწეროთ.

— არა ბატონო, ყავა ჯერ არხეინათ მიირთვით. ყველას მოვასწრობთ... ჰო, იმას მოგახსესებდით. ერთი ფილოსოფოსი ყოფილა; დიდი ბრძენი

---

*) იხ. № 1 „ივერიისა“ 1877 წ.

ფილოსოფოსი თურმე იყო, ელინის ფილოსოფოსი. ქუჩაში ჩულს დაიგებდა და დაჯდებოდა, და წვიმაში ბოჩკაში შევიდოდა და სცხოვრობდა. ერთხელ შუადღისას ანთებულის სანთელით ხელში ბაზარში გამოვიდა. ხალხმა რო დაინახა, დაიწყო სიცილი, რასა სულელობსო? ჰკითხეს, რას ეძებო, და უპასუხა: კაცსაო, კაცსაო. აბა ერთი მიბძანეთ ამ ჩვენ დროში კაცი სად არის? ყველა თავის სარფას მისდევს და სხვას კი თუნდა ახჩობდნენ, არ მიეშველება. მაგრამ, ეჰ, როგორც არის ამ წუთს სოფელს გავატარებთ. ამ ქვეყნისა არა მინდა რა, ოღონდ წმინდა სვინიდისი მქონდეს. სვინიდისისთანა ძვირფასი საუნჯე ამ ქვეყანაზე არა იქნება რა და ვერც არავინ მოგვცემს. ასე გახლავსთ განა?

— დიახ ძვირფასი საუნჯეა... თქვენი სახელი და გვარი მიბძანეთ...

— ყველას მოგახსენებთ. სვინიდისს...მოგახსენებდით. წელან რომ ფილოსოფოსი ვახსენეთ, დიოღენი ერქვა, იმასთან ალექსანდრე მაკედონელი, ძლიერი მეფე,—თქვენ ხომ უფრო კარგათ მოგეხსენებათ, საბერძნეთი ეჭირა, სპარსეთი დაიჭირა და ინდოეთშიაც კი მივიდა,—ესეთი ძლიერი მეფე მივიდა იმ საწყალ ღარიბ ფილოსოფოსთან და უთხრა: ფილოსოფოსო! რა გინდა რო მოგცეო; მეფე ვარ, მთხოვე რამე! შენი დასაჩუქრება მინდაო, და დიოგენმა უთხრა: რაც ეხლა სიკეთე მაქვს, ისიც არ წამართოვო, თორემ სხვა შენი არა მინდა რაო. თურმე მზეზე იჯდა და ალექსანდრე მაკედონელი მზეს უჩრდილებდა. ახლა ამას იმაზე მოგახსენებ, რომ არა მინდა რა არავისი, ასე არა სჯობია?

— მართალი ბძანებაა. მაგრამ მე დამიგვიანდა და მიბძანეთ, რაც ამ ქაღალდში დასანიშნავია. თქვენი სახელი და გვარი......

— მოგახსენებ ყველას. მაგრამ ჯერ უპირველესი რამ უნდა მამისმინოთ. ამ ოცდა ორ, ოცდა სამ წელიწადს წინათ, იქნება კიდეც მოგეხსენებოდეთ, ჭანჭურბეგაანთ ოჰანეზამ ფოდრათი აიღო და კანტორა ჰქონდა; იმ კანტორაში დავთრებსა ვწერდი წელიწადში შევიკარგენით ოცდა ათ თუმნათ ჭამა-სმა და ოთახი კანტორაში უნდა მქონდა. როგორც სვინიდისიან კაცს შეჰფერის, მეც ვმუშაობდი, ვწერდი, ფულსა ვთვლიდი, ტომრებს...არა ტომრებს კი არა, რუსულ მეშოკებს ვაკერვინებდი დედა-კაცებსა; ეს დედა-კაცი მაშინ გავიცანი, მეშოკებსა ჰკერავდა. გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორე კვირა, გავიდა ერთი თვე, დადგა მეორე თვე. ყველაფერს მე ვაკეთებდი, ფული ხელში მქონდა. ხან-და-ხან დღე იქნებოდა, რომ ხუთი, ათი, ასე გაშინჯე თუთხმეტი თუმანი ხელში მეჭირებოდა დასარიგებლათა!

— სწორეთ მოგახსენოთ, რასაცა ბძანებთ, სრულებით მეტი გახლავს. თქვენი სახელი და გვარი?...

— მოგახსენებთ და ნახამთ რომ მეტი არ არის. გულ დამწვარი კაცი ვარ, ღვთის გულისთვის მამისმინეთ. ჰო, იმას მოგახსენებდით. ერთხელ ფულს რომ ვიბარებდი, არ დავთვალე; დარიგების დროს შვიდი თუმანი დამაკლდა. წაველი მოვახსენე ჩვენ ფოდრაჩიკს, თუ ასე და ასეა მეთქი, შვიდი თუმანი აკლდება მეთქი.—ხომ არ დაჰკარგეო? მკითხავს. რა ბძანებაა დაკარგვა მეთქი? ნეტავი ენა დამდუნებოდა და ის სიტყვა არ მეთქვა. არა მეთქი, არ დამიკარგავს,—ახ რატო ისე არა ვსთქვი, რომ დავკარგე. არა მეთქი, თქვენ ნაკლებათ მამეცით მეთქი.—არაო, რა ბძანებაა დაკლებაო; შენ თვალ-წინ არ დავთვალეო? მე არ დამითვლია მეთქი. ახმახოვო, ფულს იღებ, არა სთვლი, რამდენს გაძლევენო? დაუძახა თავის დისწულსა, ისიც კანტორაში იყო: ამას წელან რამდენი ფული დავუთვალე და მივეციო?—იმანაც იმდენი თქვა. იმ კისერ მოსატეხმა ბიჭუამ საქმე გამიფუჭა. მე კარგათ მახსოვსო, რომ ამდენი დასთვალა ბიძამაო. ჭანჭურბეგამ გამამისტუმრა: რახან შენ ფულის მიღების დროს თვლა არა გცოდნიაო, ახლა საითაც გნებავდეს, იქით წაბძანდიო; კანტორაში მაინც ვერაფერი ვერ გაგიკეთებიაო!.. ბევრი ველაპარაკე, მაგრამ არ გამიგონა.—ეს რაც დანაკლისი,—ახ, რატო დანაკარგი არა ვსთქვი, რაც დანაკლისი ფული არის მეთქი, ჯამაგირში მიანგარიშე მეთქი.—გასწი, გამეცალეო! გიანგარიშო კი არა, ერთის თვის ჯამაგირსაც კიდევ გაჩუქებო, ოღონდ თავიდამ მომშორდეო. შენ შვილო ღრამატიკებითა და ფილოსოფოსებით ლაპარაკს დაჩვეულხარ, ჩვენ ყბედი კაცები არ გვინდა, საქმის კაცები გვინდაო... აი რა კაცები არიან ვაჭრები.

— ბძანეთ თქვენი სახელი და გვარი.

— მამითმინეთ.... ამასთან უნდა მოგახსენოთ; კანდრახტი მართალია დამტკიცებული არა მქონდა, მაგრამ შავათ დაწერილი კანტორაში იდვა. ჰაი დღეს, ჰაი ხვალ გადავწერ მეთქი, მაგრამ ხან კალამი კარგი არა მქონდა, ხან ქაღალდი რიგიანი, ხანმელანი თეთრი იყო და დარჩა —ეს რომ გავიგონე, ხმა აღარ გავეცი, კანტორაში წაველ კანდრახტი ავიღო მეთქი. აქეთ კანდრახტი, იქით კანდრახტი, აღარ გამოჩნდა, აღარ გამოჩნდა; ცამ ჩაყლაპა, დედა-მიწამ ჩაყლაპა, წავიდა დაიკარგა, დაიკარგა! ჩემი ხელით დაწერილი იყო. მე ახლა სწორეთ შემიძლია ვთქვა, რომ ის კანდრახტი ჭანჭურბეგას დისწულმა მოიპარა და საქმე ესე გამიფუჭა. მას აქეთ საჩივრის უკან დავდივარ: რამდენს გალავასთან მიჩივლია, პოლიციაშიაც მივლია, მაგრამ ამ საქმეს ბოლო ვერ მოეღო და იმ ბიჭის ჯავრი ვერ ამოვიყარე.

— ახლა ხომ გაათავეთ, ბატონო? თქვენი სახელი და გვარი...

— გავათავე. ახლა მე თქვენა გთხოვთ, რომ ეს ამბ.ვი წვრილათ, ჩასწეროთ რომ საცა ადგილია, მოხსენდეს.—აი თქვენი მობძანება ამიტომ მიხარიან, რომ ბოლოს ამ საქმესაც ბოლო მოუღო.—

ხუმრობა კი არ არის? რაც ამ საქმეში გავები, გული აღარა მაქვს სხვა საქმეში შევიდე; ამიტომ რომ ყოველთვის კაცი იმას უნდა ცდილობდეს, ჯერ ერთი საქმე დააბოლოვოს, გასწმინდოს და მერე მეორეს შეუდგეს. გთხოვთ დიდათა, რომ როგორც თქვენს პატიოსნობას და კეთილშობილობას ეკუთვნის, ისე დაწვრილებით მოიხსენოთ და ჩასწეროთ.

— დიდის სიამოვნებით აგისრულებდით თხოვნასა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეგ ჩვენი საქმე არ არის.

— რატო არ არის, თქვე დალოცვილო?

— ამიტომ რომ, ჩვენი საქმე სხვა საქმეა. ჩვენ მარტო თქვენი სახელი და გვარი, ხელობა და სხვა ამისთანები უნდა ჩავწეროთ.

— დიახაც არის და კარგათაც ვიცით. განა არ ვიცით, რომ სეკრეტათ ყველას ვითარება, და საჩივარიც უნდა ჩასწეროთ? ბრიყვები ნუ გგონივართ.

— თქვენი სახელი და გვარი?

— არა! ჯერ ჩვენი საჩივარი ჩასწერეთ და მერე ყველას მოგახსენებთ.

— არ შეიძლება. საჩივრისთვის სასამართლოა.

— თქვენ, ბატონო, ნუ გვატყუებთ. თუ ღმერთი გწამთ, ჩასწერეთ! ცოტაოდენი ღარიბ კაცს უნდა შემწეობა მისცეთ. ღმერთი გადაგიხდისთ.

— არ შეიძლება, ბატონო. რა ახირებაა? თქვენ ვიღასაც მოუტყუებიხართ და მე კი არ მიჯერებთ. მიბძანეთ თქვენი სახელი და გვარი, ან თქვენ ჩასწერეთ. აჰა ქაღალდი, წერა ხომ იცით?

— ვიცი, არზებსა ვწერ, რატო არ ვიცი; იმითი ვცხოვრობ. ზევრჯელ თითო არზის წერაში ჭრელი მანეთი ამილია და აბაზიანი ხომ მუდამა მაქვს.

— მაშ თქვენვე ჩასწერეთ.

— მოიტა, თქვენი ნება იყოს, ჩავწერ. (სწერს).

— რაცა გნებავდათ, სახელი, გვარი და ყველა ხომ მოგახსენეთ, სხვა ხომ არაფერი არა გნებავთ?

— არაფერი. ახლა ეს დედა-კაცი ვინ არის? თქვენიანია?

— არა, ჩემიანი არ არის. ჩემს მფარველობას ქვეშე არის, შემომეკედლა. რადგანაც დედა-კაცია და ღამ-ღამობით სტუმრები დაიარებიან, მეც მფარველათა ვყევარ.

— ჰმ.... ..

— თქვენც შეგიძლიათ, როცა გნებავდეთ, გვესტუმროთ. კარგა ლხინებიც ვიცით.

— სახელი და გვარი ჩავწეროთ. (სწერს).

— ოღონდაც კი ჩემი საჩივარი ჩასწეროთ და ლხინებს კარგს გაჩვენებთ.

— მშვიდობით ბძინდებოდეთ!

— აპა! თქვენც არ მომიკვდეთ, მე თქვენ საჩივრის დაუწერლათ არ გაგიშვათ!

— ნუ ინებებთ, ბატონო, მაგისთანებს.

— ჩემი საჩავარი უნდა დასწეროთ, რომ მთავრობამ შეიტყოს ჩემი ამბავი. მაშ რას მიქვიან თქვენი მოსვლა? მოდიხართ, კუთხე-ბუჩხეს მიშინჯავთ და საჩივარსაც არ მიგონებთ?! ეგ სამართალია? მე თქვენზედ საჩივარს შევიტან; ღმერთი გამიწყრეს, თუ ასე არა ვქნა. ჯამაგირს რომ იღებთ, განა მუქთათ იღებთ? ხვალვე გალავასთან გიჩივლებ. შენი ჭირიმე, არზის წერა გამიჭირდება. ერთი თაბახი და შენი ჯანი.

— ბატონო, ძველი საქმეა, რაღა ლაპარაკათა ღირს? თავი დაანებეთ და გაათავეთ.

— იფ, რა კარგ რამეს მირჩევთ! ოც-და-ორი წელიწადი მაგ საქმეს უკან დავდევ და ახლა აგრე ხელ და ხელ თავი დავანებო რაღა? გიჟი ხომ არა ვარ უჩივლელათ საქმე გავათავო. იმასაც უჩივლებ და შენცა. საცა შენი სთქვა, წადი და ჩემიც იქა სთქვი!

ანჩისხატისუბნელი.

(შემდეგი იქნება)

---


## განცხადება.

### ისყიდება:

ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან ფასი . . . . . . . . . . . . 20 კ.

ზ. ნ ანტონოვის თხზულებანი, ფასი 1 მ.

ქართული ანდაზები, ფასი . . . . . 10

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, ფასი 60

ქალაქს, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში,

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

გორს, ფარნაოზ ნათიევისას,

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მირ. პოხრედ)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Марта 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.